# სს ვითიბი ბანკი (ჯორჯია)
## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის*

*დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად*

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თარგმანს ინგლისური ორიგინალიდან

**შინაარსი**

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები**

1. ძირითადი საქმიანობა 5
2. შედგენის საფუძველი 6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები 18
5. ფული და ფულადი ეკვივალენტები 20
6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 20
7. კლიენტებზე გაცემული სესხები 21
8. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 23
9. ძირითადი საშუალებები 24
10. არამატერიალური აქტივები 25
11. გადასახადები 26
12. სხვა გაუფასურების რეზერვები 28
13. სხვა აქტივები და ვალდებულებები 28
14. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე 29
15. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე 29
16. სხვა ნასესხები სახსრები 30
17. სუბორიდინირებული სესხი 31
18. კაპიტალი 31
19. პირობითი ვალდებულებები 32
20. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან 33
21. მოგება გაყიდვიდან რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის მოგება- ზარალში ასახვით და სხვა შემოსავალი 33
22 ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი 34
23. რისკების მართვა 34
24. ფინანსური ინსტუმენტების სამართლიანი ღირებულება 45
25. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 46
26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 47
27. კაპიტალის ადეკვატურობა 49
28. მოვლენები ბალანსის თარიღის შემდეგ 50

ERNST & YOUNG

Ernst & Young LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia

Tel: +995 (32) 43 9375
Fax: +995 (32) 43 9376
www.ey.com/georgia

შპს ერნსტ ენდ იანგი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44

ტელ: +995 (32) 439 375
ფაქსი: +995 (32) 439 376

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

სს ვითიბი ბანკი (ჯორჯია)-ს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს ვითიბი ბანკი (ჯორჯია)-ს და მისი შვილობილი კომპანიის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კერძოდ კი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგების, მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა.

*ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*
ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს: უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას; შესაბამისი სააღრიცხოვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და ისეთი სააღრიცხვო შეფასებების შემუშავებას, რომლებიც მისაღებია კონკრეტული ვითარებისთვის.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*
ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. აღნიშნული სტანდარტებით სავალდებულოა ეთიკური ნორმების დაცვა, ასევე აუდიტის იმგვარად დაგეგმვა და ჩატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას გარანტია, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულებების მოპოვებაზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიეთ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. ხსენებული პროცედურები გულისხმობს ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შეფასებას. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემოწმებას, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული რწმუნება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნის წარდგენისათვის.

*დასკვნა*
ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სს ვითიბი ბანკი (ჯორჯია)-ს ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

30 აპრილი, 2009

**კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება**

**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(ათას ლარში)*

| | *შენიშვნები* | *2008* | *2007* |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულადი ეკვივალენტები | 5 | 46,730 | 79,130 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 6 | 7,207 | 20,433 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 7 | 325,770 | 344,071 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: | 8 | 1,389 | 1,335 |
| ძირითადი საშუალებები | 9 | 31,645 | 32,095 |
| არამატერიალური აქტივები | 10 | 256 | 294 |
| მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივი | 11 | 603 | 2,044 |
| მოგების გადასახადის გადავადებული აქტივი | 11 | 4,771 | 2,935 |
| სხვა აქტივები | 13 | 2,163 | 1,223 |
| **სულ აქტივები** | | **420,534** | **483,560** |
| | | | |
| **ვალდებულებები** | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 14 | 114,595 | 151,950 |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | 15 | 153,263 | 229,199 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 16 | 99,084 | 46,022 |
| სუბორდინირებული სესხი | 17 | 20,254 | 19,395 |
| სხვა ვალდებულებები | 14 | 5,292 | 1,795 |
| **სულ ვალდებულებები** | | **392,488** | **448,361** |
| | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 18 | 86,356 | 65,082 |
| ქონების გადაფასების რეზერვი | 18 | 5,692 | 5,824 |
| აკუმულირებული ზარალი | | (64,002) | (35,707) |
| **სულ კაპიტალი** | | **28,046** | **35,199** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **420,534** | **483,560** |

**ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ**

ნიკოლოზ შურღაია



გენერალური დირექტორი-პრეზიდენტი

მამუკა ჯიჯავაძე



მთავარი ბუღალტერი

30 აპრილი 2009

*თანდართული შენიშვნები (გვ. 5-50) წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

**მოგება – ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(ათას ლარში)*

| | *შენიშვნები* | *2008* | *2007* |
|---|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | 57,640 | 63,629 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 2,869 | 1,847 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | 823 | 331 |
| | | **61,332** | **65,807** |
| **საპროცენტო ხარჯი** | | | |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | | (20,920) | (25,816) |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | | (12,868) | (14,817) |
| | | **(33,788)** | **(40,633)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **27,544** | **25,174** |
| სესხის გაუფასურების დანარიცხი | 7 | (72,748) | (15,517) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი) სესხის გაუფასურების დანარიცხის გათვალისწინებით** | | **(45,204)** | **9,657** |
| წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან | 20 | 3,482 | 4,301 |
| წმინდა მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტიდან: | | | |
| - გარიგებები | | 4,356 | 4,589 |
| - საკურსო სხვაობები | | 776 | (536) |
| მოგება გაყიდვიდან რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის მოგება- ზარალში ასახვით | 21 | 38,342 | – |
| სხვა შემოსავალი | 21 | 1,652 | 1,103 |
| **არასაპროცენტო შემოსავალი** | | **48,608** | **9,457** |
| სახელფასო ხარჯი | 22 | (17,108) | (13,493) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 9, 10 | (2,514) | (2,106) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 22 | (10,708) | (8,221) |
| სხვა გაუფასურება და რეზერვი (დანარიცხი) | 12 | (3,326) | (112) |
| **არასაპროცენტო ხარჯი** | | **(33,656)** | **(23,932)** |
| **ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(30,252)** | **(4,818)** |
| მოგების გადასახადი (ხარჯი) / სარგებელი | 11 | 1,825 | **(670)** |
| **წლის ზარალი** | | **(28,427)** | **(5,488)** |

*თანდართული შენიშვნები (გვ. 5-50) წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

**კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(ათას ლარში)*

| | *საწესდებო კაპიტალი* | *ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი* | *გაუნაწილებელი მოგება* | *სულ* |
|---|---|---|---|---|
| **2006 წლის 31 დეკემბერი** | **40,968** | **174** | **(30,227)** | **10,915** |
| ძირითადი საშუალებების გადაფასება, წმინდა | – | 5,647 | – | 5,647 |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულების კლება, რაც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან საგადასახადო განაკვეთების ცვლილებიდან გამომდინარე | | 11 | | 11 |
| გადაფასების რეზერვის ცვეთა, წმინდა | – | (5) | 5 | – |
| უძრავი ქონების გადაფასების რეზერვის გადაცემა, წმინდა | – | (3) | 3 | – |
| კაპიტალში პირდაპირ აღიარებული წლის მთლიანი შემოსავალი და ხარჯი | – | 5,650 | 8 | 5,658 |
| წლის ზარალი | – | – | (5,488) | (5,488) |
| წლის მთლიანი შემოსავალი და ხარჯი | – | 5,650 | (5,480) | 170 |
| საწესდებო კაპიტალის გამოშვება (შენიშვნა 18) | 24,114 | – | – | 24,114 |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **65,082** | **5,824** | **(35,707)** | **35,199** |
| გადაფასების რეზერვის ცვეთა, წმინდა | | (126) | 126 | – |
| უძრავი ქონების გადაფასების რეზერვის გადაცემა, წმინდა | | (6) | 6 | – |
| კაპიტალში პირდაპირ აღიარებული წლის მთლიანი შემოსავალი და ხარჯი | | (132) | 132 | – |
| წლის ზარალი | – | – | (28,427) | (28,427) |
| წლის მთლიანი შემოსავალი და ხარჯი | | (132) | (28,295) | (28,427) |
| საწესდებო კაპიტალის გამოშვება (შენიშვნა 18) | 21,274 | – | – | 21,274 |
| **2008 წლის 31 დეკემბერი** | **86,356** | **5,692** | **(64,002)** | **28,046** |

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(ათას ლარში)*

| | *შენიშვნები* | *2008* | *2007* |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული პროცენტი | | 60,863 | 60,563 |
| გადახდილი პროცენტი | | (39,614) | (40,450) |
| მიღებული გასამრჯელო და საკომისიო | | 4,637 | 6,875 |
| გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო | | (1,190) | (1,528) |
| უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან რეალიზებულ მოგებას მინუს ზარალი | | 4,393 | 4,576 |
| სხვა შემოსავალი | | 39,918 | 1,239 |
| გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | | (16,542) | (13,493) |
| გადახდილი სხვა საოპერაციო გადასახადი | | (11,405) | (8,314) |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე** | | **41,060** | **9,468** |
| *საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა) /კლება* | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 13,221 | (1,651) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | (53,433) | 91 |
| სხვა აქტივები | | (1,554) | 98 |
| *საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)* | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | | (36,957) | (31,979) |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | | (68,881) | 53,692 |
| სხვა ვალდებულებები | | (100) | (344) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/ (გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(106,644)** | **29,375** |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | 1,202 | (3,516) |
| **წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან/ (გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში)** | | **(105,442)** | **25,859** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა | | (54) | – |
| შემოსავალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან და დაფარვიდან | | – | 10,278 |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | 9, 10 | (2,289) | (4,106) |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან | | 63 | 195 |
| **წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან/ (გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში)** | | **(2,280)** | **6,367** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| შემოსავალი საწესდებო კაპიტალის გამოშვებიდან | 19 | 21,274 | 24,114 |
| მიღებული სხვა ნასესხები სახსრები | | 61,707 | 6,101 |
| სხვა ნასესხები სახსრების დაფარვები | | (7,711) | (27,836) |
| ბანკის აქციონერთათვის გადახდილი დივიდენდები | | – | (1) |
| **წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან** | | **75,270** | **2,378** |
| საკურსო ცვლილების გავლენა ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე | | 52 | (24) |
| **ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა** | | **(32,400)** | **34,580** |
| **ფული და ფულადი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | 5 | **79,130** | **44,550** |
| **ფული და ფულადი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს** | 5 | **46,730** | **79,130** |

*თანდართული შენიშვნები (გვ. 5-50) წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

*(ათას ლარში)*

## 1. ძირითადი საქმიანობა

სს ვითიბი ბანკი (ჯორჯია) ("ბანკი") საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა 1995 წლის 7 აპრილს გაერთიანებული ქართული ბანკის სახელით. 2006 წლის 7 დეკემბერს ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა ვითიბი ბანკი (ჯორჯია). ბანკს გააჩნია მისი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ"-ი, საქართველოს ცენტრალური ბანკი) მიერ გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზია, რომელიც მას მიენიჭა 1995 წლის 19 მაისს. ბანკის ძირითად აქციონერს წარმოადგენს VTB Bank OJSC. ვე-ტე-ბე ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ერთობლივად ქმნიან ვე-ტე-ბე ჯგუფს („ ვე-ტე-ბე ჯგუფი").

ბანკი იღებს დეპოზიტებს მოსახლეობისგან და გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს სავალუტო გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს საბანკო მომსახურებას. ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს აქვს 14 ფილიალი (5 მათგან თბილისში) და 12 სერვის ცენტრი. ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭანტურიას ქ. 14.

### შვილობილი კომპანიები

ბანკი წარმოადგენს შპს. "ქართული საფონდო კომპანიის" სრულუფლებიან მფლობელს. მისი საწესდებო კაპიტალი აღნიშნულ კომპანიაში შეადგენს 11 ათას ლარს. კომპანია მოღვაწეობს როგორც საბროკერო აგენტი.

ბანკი წარმოადგენს „ჯითი +"-ის სრულუფლებიან მფლობელს. მისი საწესდებო კაპიტალი აღნიშნულ კომპანიაში შეადგენს 0.2 ათას ლარს. კომპანია მოღვაწეობს როგორც უძრავი ქონების აგენტი.

### აქციონერები

2008 .31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგი აქციონერები ფლობდნენ მიმოქცევაში გაშვებული ფასიანი ქაღალდების 3%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ მიმოქცევაში გაშვებული ფასიანი ქაღალდების 3%-ზე ნაკლებს.

| **აქციონერი** | ***2008*** | ***2007*** |
|---|---|---|
| | *%* | *%* |
| VTB Bank OJSC | 77.57 | 70.52 |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | 8.95 | 11.88 |
| ანტონ ინგოროყვა | 3.57 | 4.73 |
| ზაზა სიორიძე | 3.56 | 4.73 |
| Lacarpa Enterprises Limited | 3.56 | 4.73 |
| სხვა | 2.79 | 3.41 |
| **ჯამი** | **100.0** | **100.0** |

VTB Bank OJSC წარმოადგენს ბანკის მშობელ კომპანიას. VTB Bank OJSC-ს ძირითად აქციონერს და ვე-ტე-ბე ჯგუფის უმსხვილეს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია, რომელიც მოქმედებს ქონების ფედერალური სააგენტოს მეშვეობით, რომელიც 2008 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობს ვე-ტე-ბე-ს გამოშვებული და ბრუნვაში გაშვებული აქციების 77.5%-ს. (2007 – 77.5%).

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს წევრები არ ფლობენ ბანკის აქციებს, გარდა ბნ. ზაზა სიორიძისა (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) და ბნ. ანტონ ინგოროყვასი (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 796-ს. (2007: 862)

*(ათას ლარში)*

## 2. შედგენის საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" ("ფასს") შესაბამისად, რაც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ და ძალაში მყოფ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ("ფასიკ") სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს ("ბასს") და ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის ინტერპრეტაციებს ("იმკ").

მარეგულირებელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბანკს საქართველოს საბუღალტრო და საბანკო კანონმდებლობისა და დაკავშირებული ინსტრუქციების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოეთხოვება ლარში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება ბანკის ფასს-ის შესაბამისად კორექტირებულ და რეკლასიფიცირებულ ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებს.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განმარტებულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ქვემოთ. მაგალითად, გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები, ისევე როგორც მიწა და შენობა-ნაგებობები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ანგარიშგება ლარშია წარმოდგენილი, რადგან ბანკის ფინანსური ოპერაციების უმეტესობა შესრულებულია აღნიშნულ ვალუტაში. ოპერაციები სხვა ვალუტაში აღნიშნულია როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გაწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა მუდმივად გამოიყენებოდა წარმოდგენილ პერიოდში, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული, გარდა ცვლილებებისა სააღრიცხვო პოლიტიკაში, რომლებსაც აღვწერთ მესამე შენიშვნაში ქვემოთ.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს დაშვებებსა და შეფასებებს, რომელთაც გავლენა აქვთ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე. აღნიშნული დაშვებები ეფუძნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისგან.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

წლის განმავლობაში ბანკმა მიიღო შემდეგი ახალი ფასს სტანდარტები და მათი ცვლილებები. ამ სტანდარტთა მიღებამ არ იქონია გავლენა ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებსა და მდგომარეობაზე. ძირითადი ცვლილებათა შედეგები იხილეთ ქვემოთ:

*ფაისკ 11 "ფასს 2 – "ჯგუფისა და კომპანიის საკუთარი აქციები"*
ფაისკ 11 განმარტება ძალაშია 2007 წლის 1 მარტიდან და მოითხოვს რომ ის შეთანხმებები, რომლებშიც თანამშრომლებს ეძლევათ უფლებები საწარმოს კაპიტალის ინსტრუმენტებზე აღიარებულ იქნას როგორც კაპიტალის დადგენილ სქემად, თუნდაც საწარმომ შეიძინოს ინსტრუმენტები სხვა მხარისგან, ან აქციონერებმა უზრუნველყონ კაპიტალის საჭირო ინსტრუმენტები. ეს განმარტება გავლენას არ ახდენს ბანკზე.

*ფაისკ 14 "ბასს 19 – "განსაზღვრული სარგებლის მქონე აქტივის ლიმიტი, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნები და მათი ურთიერთქმედება"*
ფაისკ 14-ის განმარტება გამოცემულ იქნა 2007 წლის ივლისში და ძალაშია წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც 2008 წლის 1 იანვრის შემდგომ იწყება. აღნიშნულ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნას შეფასებული თანხის ნამატის ლიმიტი განსაზღვრულ სარგებლის სქემაში, რომელიც შესაძლოა

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)**

*ფაისკ 14 "ბასს 19 – "განსაზღვრული სარგებლის მქონე აქტივის ლიმიტი, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნები და მათი ურთიერთქმედება" (გაგრძელება)*

აღიარებულ იქნას როგორც აქტვი ბასს 19-ის "დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები" შესაბამისად. ბანკი არ ელის, რომ აღნიშნულ ინტერპრეტაციას გავლენა ექნება ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

*ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია – ცვლილებები ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება" და ფასს 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება"*
ცვლილებები ბასს 39-ში და ფასს 7-ში გამოცემულ იქნა 2008 წლის 13 ოქტომბერს. ამ ცვლილებების შემდეგ შესაძლებელი გახდა არაწარმოებული ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია კატეგორიიდან "გასაყიდად გამიზნული" გარკვეულ გარემოებებში. აღნიშნული ცვლილებები აგრეთვე უფლებას იძლევა გარკვეული ფინანსური აქტივები გადმოტანილ იქნას კატეგორიიდან "გასაყიდად გამიზნული" კატეგორიაში "სესხები და მოთხოვნები". ეს ცვლილებები ძალაში შევიდა 2008 წლის 1 ივლისიდან. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელდება 2008 წლის 1 ნოემბერს ან შემდგომ, ძალაში შევა მხოლოდ რეცლასიფიკაციის განხორციელების დღიდან. ბანკს არ განუხორცილებია კატეგორია "გასაყიდად გამიზნული" ან "გასაყიდად არსებული" მიკუთვნებული ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია, აქედან გამომდინარე ამ ცვლილებებს არ ქონია გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის საქმიანობაზე.

**შვილობილი კომპანიები**

შვილობილი კომპანიები, ანუ ის კომპანიები როლებშიც ბანკს გააჩნია ხმის უფლების ნახევარზე მეტისათვის საჭირო წილი და უფლება აქვს განახორციელოს მათი ოპერაციების კონტროლი, კონსოლიდირებულია. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ბანკისათვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან. აღნიშნული ძალაშია კონტროლის ვადის ამოწურვამდე. ბანკსა და შვილობილ კომპანიას შორის ჩატარებული ყველა შიდა ოპერაცია, ნაშთები და არარეალიზებული მოგება ბანკის შიდა ოპერაციებიდან მთლიანად იქვითება; არარეალიზებული ზარალიც იქვითება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველი. საჭიროებისამებრ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია და შესაბამისობაშია მოყვანილი ბანკის პოლიტიკასთან.

*შვილობილი კომპანიების შესყიდვა*

ბანკის მიერ შვილობილი კომპანიების შესყიდვისას გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის შესყიდვათა მეთოდი. შეძენილი ამოცნობადი აქტივები და შერწყმისას არსებული ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისათვის, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

შესყიდვის საფასურის მეტობა ბანკის წილზე ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიან ღირებულებაში აღირიცხება როგორც გუდვილი. თუ შვილობილი კომპანიის შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ბანკის წილზე ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიან ღირებულებაში, სხვაობა პირდაპირ აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი წარმოადგენს წილს შვილობილ კომპანიაში, რომელსაც არ ფლობს ბანკი. უმცირესობის წილი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიან ღირებულებაში შესყიდვის თარიღისათვის და უმცირესობის წილს კაპიტალში შესყიდვის თარიღის შემდგომ. უმცირესობის წილი ჩართულია კაპიტალში.

უმცირესობის წილის ზარალი არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უმცირესობის ვალდებულება დაფაროს ზარალი. ყველა ასეთი ზარალი განეკუთვნება ბანკს.

*(ათას ლარში)*

## 3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### შვილობილი კომპანიები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები

*თავდაპირველი აღიარება*
ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად თუ გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

*აღიარების თარიღი*
როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკი შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

*ერთი დღის მოგება*
როდესაც გარიგების ფასი არააქტიურ ბაზარზე განსხვავდება იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე საბაზრო გარიგებების სამართლიანი ღირებულებისგან, ან შეფასების ტექნიკაზე დაყრდნობით, მიმდინარე საბაზრო მონაცემებისგან, ბანკი მყისიერად აღრიცხავს სხვაობას გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის (ერთი დღის მოგება) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება მონაცემებს, რომელთა ანალოგიურიც არ მოიპოვება, სხვაობა გარიგების ფასსა და სავარაუდო მოცულობას შორის აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი ექნება ანალოგიურ მოვლენას ან ინსტრუმენტის ჩამოწერისას.

*სესხები და მოთხოვნები*
სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრული გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან განისაზღვრება როგორც ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

*გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად და არ არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად აღიარებით კაპიტალში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც კაპიტალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*
ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე), ტრანზაქციის ხარჯის გამოკლების გარეშე.

ინვესტიციებისათვის, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდის გამოყენებით. ამგვარი მეთოდი გულისხმობს სამართლიან პირობებზე

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

*სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)*

დაყრდნობით წარმოებული უწინარი საბაზრო გარიგებების გამოყენებას, მსგავსი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო ღირებულების განსაზღვრას და ფულის მიმოქცევის ანალიზს.

*გაქვითვა*
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით საბალანსო ანგარიშგებაში აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

**ფული და ფულადი ეკვივალენტები**

ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო ინსტიტუტებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

**სესხები**

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ფულადი ან სხვაგვარი ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ბანკი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს საკრედიტო ინსტიტუტებისა და მეანაბრეების მიმართ. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით მინუს პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

თუ ბანკი შეისყიდის საკუთარ სესხს, ის ამოღებულ იქნება კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგებიდან ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის ამ შემთხვევაში აღიარებულია კიონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**საოპერაციო იჯარა – ბანკი როგორც მოიჯარე**
აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ბანკი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი "ზარალის ფაქტი") და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

*მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ბანკი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი. თუ შემდგომში გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში მოხერხდა ჩამოწერილი თანხის ამოღება, იგი კრედიტდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკაუნტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რომელსაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო რანგირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახული იყოს მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

*გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები*

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციებისათვის ბანკი ბალანსის შედგენის ყოველი თარიღისათვის, აფასებს არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად არსებული კაპიტალური ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი მოიცავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას ღირებულების ქვემოთ. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი, (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის

*(ათას ლარში)*

## 3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

*გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები (გაგრძელება)*

ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მინუს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი) ამოღებულია კაპიტალის მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალური ინვესტიციების გაუფასურების ზარალის შებრუნება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების გავლით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად კაპიტალში აისახება.

გასაყიდად არსებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

*ხელახლა შეთანხმებული სესხები*

საჭიროების შემთხვევაში ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურიზაციას იმის ნაცვლად, რომ მიიღოს მფლობელობაში უზრუნველყოფა. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას. მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობების ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს ხელახლა შეთანხმებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა**

*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილი ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის ვადა;
- ბანკმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ბანკის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ბანკს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შეძენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით.

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა (გაგრძელება)**

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას კრედიტორთან ცვლის მეორე, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**ფინანსური გარანტიები**

ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივ პროცესში ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს აკრედიტივებისა და აქცეპტებს ფინანსური გარანტიები აღირიცხებიან ფინასურ უწყისებში სამართლიანი ღირებულებით, არასაბალანსო ანგარიშზე, „სხვა ვალდებულებებში“, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ბანკის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით, რომელიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

ყოველი მატება ვალებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანანსურ გარანტიებთან აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შესაბამისად.

**გადასახადები**

მიმდინარე მოგების გადასახადის დაანგარიშება ხდება საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება ხდება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ბალანსის შედგენის დღეს.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის შებრუნების დრო და ახლო მომავალში შებრუნება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია საბალანსო ღირებულებით გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა; მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მინუს ცვეთა და გაუფასურების განაკეთი გადაფასების თარიღის შემდგომ. მიწის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა.

დაუმთავრებელი კაპიტალური დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნული აქტივების ცვეთა, ისევე როგორც მსგავსი კაპიტალური აქტივებისა, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში შესვლისთანავე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარების შემდგომ შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის მინუს შემდგომში აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმაოდ ხშირად იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაქტი, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ჩართული აქტივის გადაფასებისას მისი მოცულობის კლების შებრუნება. ამ შემთხვევაში მატება აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ მატებას, და გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. დამატებით, გადაფასების თარიღისათვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის ჯამურ საბალანსო ღირებულებასთან და ხდება მისი წმინდა თანხით ხელახლა ასახვა. გაყიდვისას ცალკეულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის მომსახურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

| | *წლები* |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 50 |
| კომპიუტერები და საკომუნიკაციო საშუალებები | 4 |
| ავეჯი და საოფისე მოწყობილობები | 6 |
| ტრანსპორტი | 5 |
| საიჯარო გაუმჯობესებები | იჯარის პერიოდზე |

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავენ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

*(ათას ლარში)*

## 3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიური ხანგრძლივობის – 5-20 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ინდიკაციის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდიკისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

### რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება როდესაც ბანკს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე იურიდიული თუ სავარაუდო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

### საპენსიო თუ სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე

ბანკს არ გააჩნია საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სქემის გარდა, რომელიც მოითხოვს დამქირავებლის მხრიდან მიმდინარე შენატანებს ჯამური ხელფასიდან. 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ეს ხარჯები იბეგრებოდა დაკავშირებული ხელფასების გამომუშავების პერიოდისთვის. 2008 წლიდან საქართველოს მთავრობამ გააუქმა სოციალური დაზღვევის გადასახადი სახელმწიფო საპენსიო სტრუქტურასთან მიმართებით და ბანკს არ დაურიცხავს შესაბამისი ვალდებულებები.. გარდა ამისა, ბანკს არ გააჩნია რაიმე საპენსიო სარგებელი, რომელიც მოითხოვს დარიცხვას

### სააქციო კაპიტალი

*სააქციო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

*საკუთარი აქციები*

როდესაც ბანკი ან მისი შვილობილი კომპანია შეიძენს ბანკის წილს, გადახდილი საფასური, დაკავშირებულ წმინდა საოპერაციო თანხებთან ერთად გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან როგორც საკუთარი აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. როდესაც შემდგომში ხდება ასეთი აქციების გაყიდვა ან ხელახლა გამოშვება, ხდება მიღებული საფასურის ჩართვა კაპიტალში. საკუთარი აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით. 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნია საკუთარი აქციები.

*დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ბალანსის შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი განცხადებულია ბალანსის შედგენამდე პერიოდში ან ბალანსის შედგენის თარიღით. დივიდენდები განცხადებულია როდესაც მათი შეთავაზება ბალანსის შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან განცხადებულია ბალანსის შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

*(ათას ლარში)*

## 3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშგებაში, მაგრამ ნაჩვენებია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით არის დაბალი. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშგებაში, თუმცა ნაჩვენებია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება არის მოსალოდნელი.

### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდებოდეს შემოსავლის აღიარება:

*პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა/შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით რომელიც მიესადაგება ახალ საბალანსო ღირებულებას.

*შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან*

ბანკი იღებს შემოსავალს გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან.
*გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი* იყოფა ორ კატეგორიად:

- *შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან დარიცხულია იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიოდან, მომსახურებისა და სხვა ხარჯებს. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა მზარდ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

- *შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

თანხები მიღებული მესამე მხარეთა ოპერაციებთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან – როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა – აღირიცხულია გარიგების დასრულებისას. გასამრჯელო, ან გასამრჯელოს კომპონენტები დაკავშირებული გარიგებებთან აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ.

*შემოსავალი დივიდენდებიდან*

შემოსავლის აღიარება ხდება ბანკის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები იზომება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას მინუს ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსაა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას მინუს ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 1.6670 და 1.5916 ლარი 1 აშშ. დოლართან მიმართებაში. 2009 წლის 30 აპრილის სებ-ის ოფიციალური კურსი იყო 1.6501 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

***სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები***

*სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა*

*ფასს-ის სრულყოფა*

IASB-ის წლიური განვითარების პროექტის შედეგად 2008 წლის მაისში IASB გამოსცა ფასს-ში განხორციელებული ცვლილებები. ისინი შეიცავენ ცვლილებებს, რომლებიც განაპირობებენ სააღრიცხვო ცვლილებებს წარდგენის, აღიარებისა და შეფასების მიზნებისათვის ისევე, როგორც ტერმინოლოგიის ან საგამომცებლო ცვლილებებს სხვადასხვა ცალკეულ IFRS სტანდარტთან დაკავშირებით. ცვლილებების უმეტესი ნაწილი ძალაშია წლიური პერიოდებით, რომელიც იწყება 2009 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით, და როდესაც დაშვებულია ნაადრევად გამოყენების შესაძლებლობა. ბანკი აფასებს ამ ცვლილებების პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (შესწორებული)*

შესწორებული ბასს 1 გამოცემულ იქნა 2007 წლის სექტემბერში და ძალაშია 2009 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული ფინანსური პერიოდებისთვის. ეს შესწორებული სტანდარტი განაცალკევებს მფლობელისა და არა-მფლობელის ცვლილებებს კაპიტალში. კაპიტალში ცვლილებების ანგარიში შეიცავს მხოლოდ მფლობელთან განხორციელებული გარიგებების დეტალებს, ხოლო არა-მფლობელთან მიმართებით კაპიტალში ცვლილებები წარმოდგენილია ცალკე სტრიქონით. ამასთანავე, სტანდარტის მიერ შემოღებულ იქნა ერთობლივი შემოსავლო ანგარიში: ის წარმოადგენს აღიარებული შემოსავლის და ხარჯების ყველა მუხლს ან ერთ ცალკეულ ანგარიშში, ან ორ დაკავშირებულ ანგარიშში. ბანკის განხილვის საგანს წარმოადგენს ერთი ან ორი ანგარიშის არსებობა.

*ბასს 23 "სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები" (შესწორებული)*

შესწორებული ბასს 23 - "სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანანხარჯები" გამოცემულ იქნა 2007 წლის მარტში და ძალაშია 2009 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული ფინანსური წლებისათვის. სტანდარტის გადახედვა მოხდა რათა მომხდარიყო სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია, როდესაც ეს ხარჯები ეხება საკვალიფიკაციო აქტივს. საკვალიფიკაციო აქტივი არის აქტივი, რომლის დანიშნულებით გამოყენების ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. გარდამავალი მოთხოვნების თანახმად

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

***სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)***

ბანკი მიიღებს ამ სტანდარტს, როგორც სამომავლო ცვლილებას. შესაბამისად, სასესხო ხარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებულ აქტივებზე, საწყისი თარიღით - 2009 წლის 1 იანვარი. ცვლილებები არ შეეხება ამ პერიოდამდე გაწეულ სასესხო ხარჯებს.

ცვლილებები ბასს 32-ში "*ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" და ბასს 1-ში ანგარიშების წარდგენა" - ნაადრევად გადახდის უფლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტები და ლიკვიდაციაზე წარმოქმნილი ვალდებულებები*
ეს ცვლილებები გამოიცა 2008 წლის თებერვალში, და ძალაშია 2009 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ცვლილებებით მოითხოვება ნაადრევად გადახდის უფლების მქონე ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ნარჩენ წილს კომპანიაში, კლასიფიცირდეს როგორც კაპიტალი, გარკვეული პირობების დაკმაყოფილებით. თუ ისინი აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს. ეს ცვლილებები ზეგავლენას არ მოახდენს ბანკზე.

ცვლილებები ბასს 39-ში "*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" – შესაძლო ჰეჯირების პუნქტები.*
ცვლილებები ბასს 39-ში გამოქვეყნდა 2008 წლის აგვისტოში და ძალაშია 2008 წლის 1 ივლისს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ცვლილებებით განხილულია ჰეჯირებული პუნქტში ცალმხრივი რისკის განსაზღვრა, ხოლო ინფლაციის განსაზღვრა ჰეჯირებული რისკის ან გარკვეულ სიტუაციებში ნაწილის სახით
ცვლილების მიხედვით საწარმოს შეუძლია განსაზღვროს საკონტროლო ღირებულების ცვლილებების ნაწილი ან ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი სახსრების მოძრაობის ცვალებადობა, როგორც ჰეჯირებული პუნქტი. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ცვლილებები ბასს 39-ში ზეგავლენას არ მოახდენს ბანკზე, ვინაიდან ბანკს გაფორმებული არ აქვს არცერთი ამგვარი ჰეჯი.

*ცვლილებები ფასს 1-ში " ფასს-ის პირველი მიღება", და ბასს 27-ში "კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგება"- შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის ღირებულება, ერთობლივად კონტროლირებადი ერთეული ან ასოციაცია.*
აღნიშნული ცვლილებები გამოქვეყნდა 2008 წლის მაისში და ძალაშია 2008 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.. ბასს 27 განახლებული ვერსია უნდა იქნეს გამოყენებული პერსპექტიულად. ფასს 1-ში ცვლილებების მიხედვით კომპანიას შეუძლია განსაზღვროს ინვესტიციების ღირებულება შვილობილ კომპანიაში, ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაში ან მეკავშირე საწარმოში ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსური ანგარიშების გახსნისას ბასს 27 მიხედვით ან სავარაუდო ღირებულების გამოყენებით ბასს 27 მოითხოვს, რომ შვილიბილ კომპანიებიდან, ერთობლივად კონტროლირებად ერთეულებიდან ან მეკავშირე საწარმოდან მიღებული ყველა დივიდენდი აღიარებულ იქნას მოგება-ზარალის უწყისში. ახალი მოთხოვნები გავლენას ახდენს მხოლოდ სათავო კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და არ მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფასს 3 "საწარმოთა გაერთიანება" (შესწორებულია 2008 წლის იანვარში) და ბასს 27 "კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგება" (შესწორებულია 2008 წლის იანვარში)*
*კორექტირებული სტანდრტები გამოქვეყნდა 2008* წლის *იანვარში* და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. შესწორებულ ფასს 3-ში შესწორებამ წარმოდგენილია მთელი რიგი ცვლილებები ბიზნეს კომბინაციების აღრიცხვაში, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს აღიარებული გუდვილის ღირებულებაზე, შეძენის პერიოდში გამოქვეყნებულ შედეგებზე და მომავალში გამოსაქვეყნებელ შედეგებზე. განახლებული ბასს 27 მოითხოვს, რომ ცვლილებები შვილობილი კომპანიების მფლობელობის წილში ანგარიშდება როგორც ოპერაცია სააქციო კაპიტალთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამგვარი ცვლილება ზეგავლენას არ მოახდენს გუდვილზე, ასევე არ წარმოქმნის მოგებას ან ზარალს გარდა ამისა, შესწორებული სტანდარტი ცვლის აღრიცხვას შვილობილი კომპანიის მიერ წარმოქმნილ ზარალს ისევე, როგორც შვილობილი კომპანიის კონტროლის დანაკარგს. შესწორებული სტანდარტებით წარმოდგენილი ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისად და ზემოქმედებას მოახდენენ მხოლოდ მომავალ შესყიდვებზე და უმცირესობის წილებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე.

*(ათას ლარში)*

**3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

***სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)***

*ცვლილებები ფასს 7-ში "გაუმჯობესებული მონაცემები ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ"*
ცვლილებები ფასს 7-ში "გაუმჯობესებული მონაცემები ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ" გამოქვეყნდა 2009 წლის მარტში და ძალაშია 2009 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ამ ცვლილებების შედეგად შემოღებულ იქნა სამართლიანი ღირებულების სამი დონის გამჟღავნების იერარქია, რაც განასხვავებს სამართლიანი ღირებულების შეფასებას გამოყენებული დანახარჯების მნიშვნელობით. ამასთანავე, ცვლილებებმა ხარისხობრივად შეცვალა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტებით გამოწვეული ლიკვიდურობის რისკის ხასიათისა და სიდიდის გახსნასთან მიმართებაში. აღნიშნული ცვლილებები გავლენას არ მოახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის საქმიანობაზე, მაგრამ გამოიწვევს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების უფრო დეტალურ გამჟღავნებას.

*ფაისკ 16 "წმინდა ინვესტიციის ჰეჯი უცხოური ოპერაციაში"*
ფაისკ 16 ინტერპრეტაცია გამოქვეყნდა 2008 წლის ივლისში და გამოიყენება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. აღნიშნული ინტერპრეტაცია შეიცავს მითითებას უცხოური ვალუტის რისკების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც კვალიფიცირდებიან ჰეჯის აღრიცხვით წმინდა ინვესტიციის ჰეჯში, როდესაც ჯგუფის ფარგლებში ჰეჯირების ინსტრუმენტის ფლობა შესაძლებელია, და თუ როგორ შეიძლება კომპანიამ განსაზღვროს უცხოური ვალუტის მოგების ან ზარალის მოცულობა, რომელიც დაკავშირებულია როგორც წმინდა ინვესტიციასთან, ისე ჰეჯირების ინსტრუმენტთან, რომელიც განმეორებით უნდა იქნას გამოყენებული წმინდა ინვესტიციის განკარგვისას. ბანკი არ ელის, რომ ამ ინტერპრეტაციას გავლენა ექნება ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ბანკს ჯერ არ აქვს სრულად გაანალიზებული ინტერპრეტაციის სავარაუდო გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფაისკ 17 "არა-ფულადი აქტივების განაწილება მფლობელებზე"*
ფაისკ 17 ინტერპრეტაცია გამოქვეყნდა 2008 წლის ნოემბერში და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დაშვებულია ადრინდელი გამოყენება. ინტერპრეტაცია უნდა იქნას გამოყენებული პროსპექტიულად. ფაისკ 17 გამოიყენება არაფულადი აქტივების მფლობელებზე პროპორციულ განაწილებისთვის, შეიცავს მითითებას თუ როდის უნდა იქნას აღიარებული ვალდებულება, როგორ უნდა შეფასდეს ის და დაკანშირებული აქტივები, როდის უნდა ჩამოიწეროს აქტივები და ვალდებულებები და აღნიშნული ქმედებების თანმიმდევრობა. აღნიშნული ცვლილებები გავლენას არ მოახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის საქმიანობაზე, რადგან ბანკი არ ახორციელებს არაფულადი აქტივების მფლობელებზე განაწილებას.

*ფაისკ 18 მომხმარებლებისგან აქტივების გადაცემა*
ფაისკ 18 გამოქვეყნდა 2009 წლის იანვარში და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ინტერპრეტაცია უნდა იქნას გამოყენებული პროსპექტიულად.. ფაისკ 18 შეიცავს მითითებას აღრიცხვაზე ისეთ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც კომპანია მომხმარებლისაგან იღებს ქონების ნაწილს, დანადგარს და მოწყობილობას, რომელიც კომპანიამ უნდა გამოიყენოს იმ დროისათვის ან მომხმარებლის ქსელთან დასაკავშირებლად ან მომხმარებლიათვის საქონლის მარაგის ან მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ან ორივე ერთად. ინტერპრეტაცია განმარტავს გარემოებებს, რომელშიც დაცულია აქტივის განმარტება, ასახულია აქტივი და მისი შეფასება, უზრუნველყოფილია ცალკე განსაზღვრადი მომსახურებების იდენტიფიცირებას, უზრუნველყოფილია შემოსავლის ასახვა და მომხმარებლებისაგან ფულადი სახსრების ტრანსფერების აღრიცხვა. ფაისკ 18 არ მოახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის საქმიანობაზე, რადგან ბანკი არ იღებს აქტივებს მომხმარებლებისგან.

**4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები**

**შეფასების განუსაზღვრელობა**

ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასთან მიმართებაში ხელმძღვანელობას გააჩნია შეხედულებები და შეფასებები რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები შემდეგია:

*(ათას ლარში)*

## 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

### შეფასების განუსაზღვრელობა (გაგრძელება)

*ფუნქციონირებადი საწარმო*

ბანკის მენეჯმენტის შეფასებით ბანკს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს გააჩნია ფულადი სახსრები და მაკონტროლებელი ბანკის OJSC VTB Bank-ის ფინანსური მხარდაჭერა უახლოეს მომავალში თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამასთანავე მენეჯმენტი არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვს ქვეშ დააყენოს ბანკის უნარი გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

*გასაყიდად არსებული ინვესტიციების გაუფასურება*

ბანკი აღრიცხავს გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაუფსურებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს, იმ შემთხვევაში თუ სახეზეა სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგძლივი ვარდნა მათ ღირებულებასთან შედარებით. განსაზღვრა იმისა, თუ რა არის "მნიშვნელოვანი" ან "ხანგძლივი", მსჯელობის საგანია. აღნიშნული მსჯელობის დროს ბანკი, სხვა ფაქტორებთან ერთად, აფასებს აქციების ისტორიული ფასის მოძრაობას და იმ პერიოდის ხაგძლივობას, რომლის დროსაც ინვესტიციიის სამართლიანი ღირებულება მის ღირებულებაზე დაბალია.

*სესხის გაუფასურების რეზერვი*

ბანკის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მოთხოვნების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ბანკი იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე ბანკი აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ რომ არსებობს გაუარესებისკენ ცვლილება ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსისა, ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფში აქტივების დეფოლტთან.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ბანკი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მოთხოვნების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით.

*ძირითადი საშუალებების გადაფასება*

ბანკი რეგულარულად ახდენს ძირითადი საშუალებების მოცულობის გადახედვას სამართლიან ღირებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ახდენს გადაფასებას, რათა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი სამართლიანი ღირებულებისაგან. ბანკი ახდენს გადაფასებას სპეციალური შეფასების ტექნიკისა და ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული უძრავი ქონების ოპერაციების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით. თუმცა, აღნიშნული შეფასების მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგები შესაძლოა ყოველთვის არ შეესაბამებოდეს ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებას.

*საგადასახადო სისტემა*

საქართველოში მოქმედი საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად განმარტების საშუალებას იძლევა. საკანონმდებლო, ცვლილებები არის ხშირი, მოულოდნელი და აქვთ რეტროსპექტიული ეფექტი.. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან ამგვარი კანონმდებლობის ინტერპრეტაციები, ბანკის ოპერაციებთან და

*(ათას ლარში)*

## 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

### შეფასების განუსაზღვრელობა (გაგრძელება)

*საგადასახადო სისტემა (გაგრძელება)*

საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში საგადასახადო ორგანოებს კანონმდებლობის განმარტებასა და შეფასებაში უფრო მეტად აგრესიული პოზიცია უჭირავთ. შესაძლოა რიგ შემთხვევებში შემოწმებისას ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ ფისკალური პერიოდები შემოწმებამდე ექვსი კალენდარული წლით ადრე პერიოდებზე.

სხვადასხვა ორგანოების მიერ კანონმდებლობის განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს. თუ შესაბამისი ორგანო დაამტკიცებს მის მიერ კანონის განმარტების სისწორეს, მას ამის საფუძველზე ჯარიმებისა და საურავების დაწესების უფლება აქვს, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მათ მიერ საკანონმდებლო სისტემისა და საგადასახადო ორგანოთა მიერ ჩატარებული შემოწმებების ანალიზი იძლევა კანონთა სწორად განმარტების საფუძველს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მათ მიერ სათანადო საგადასახადო კანონმდებლობის განმარტება მისაღები იქნება. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბანკს დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

*გადავადებული საგადასახადო აქტივები*

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია საგადასახადო ზარალის მიმართ, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღიარებული იქნება საგადასახადო მოგება, რომლის წინააღმდეგაც შესაძლებელი იქნება ზარალის გამოქვითვა. იმის დასადგენად თუ რა ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება უნდა მოხდეს, საჭიროა შეფასება მომავალი დაბეგვრადი მოგების ვადიანობისა და დონის მიხედვით, აგრეთვე მომავალ საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგიებზე დაყრდნობით.

## 5. ფული და ფულადი ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 14,977 | 15,531 |
| მიმდინარე ანგარიშები სებ-ში | 9,259 | 31,314 |
| მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში | 22,494 | 8,255 |
| 90 დღეზე ნაკლები ვადის მქონე დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში | – | 24,030 |
| **ფული და ფულადი ეკვივალენტები** | **46,730** | **79,130** |

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებების მთლიანი მიმდინარე ანგარიშის 83% ორ არარეზიდენტ საკრედიტო დაწესებულებაშია განთავსებული (2007 – 69%).

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში 90 დღემდე ვადის მქონე მთლიანი დეპოზიტების 63% განთავსებულია ერთ ქართულ ბანკში.

*(ათას ლარში)*

## 6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| სავალდებულო რეზერვი სებ-ში | 5,466 | 17,444 |
| ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში | 1,426 | 1,696 |
| შეზღუდული ნოსტრო ანგარიში დოიჩე ბანკში (გერმანია) | 315 | 308 |
| სხვა თანხები | – | 985 |
| **მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | **7,207** | **20,433** |

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. ბანკი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი არ არის გამოიტანოს დეპოზიტზე არსებული თანხები. ბანკი დებულობს წლიურ 0.5%-ს სავალდებულო რეზერვიდან სებ-ში. (2007- 2%)

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,061 ლარი (2007 - 944 ლარი) ჩართული ვადიან დეპოზიტებში საკრედიტო დაწესებულებებში, განთავსებული იყო გრძელვადიან დეპოზიტზე და ჰქონდა უზრუნველყოფის სახე კონტრაგენტი ბანკის ოპერაციებისათვის. აღნიშნული თანხიდან 894 ლარი განთავსებული იყო ორ ქართულ ბანკში (2007- 784 ლარი) და 167 ლარი ორ აშშ ბანკში (2007- 159 ლარი).

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| კორპორატიული სესხები | 214,910 | 257,832 |
| სესხები მცირე ბიზნესისათვის | 83,188 | 64,946 |
| სამომხმარებლო სესხები | 59,751 | 32,658 |
| დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები | 178 | 4,623 |
| სხვა სესხები ფიზიკური პირებისათვის | 7,210 | 27,005 |
| **კლიენტებზე გაცემული ჯამური სესხები** | **365,237** | **387,064** |
| მინუს-გაუფასურების რეზერვი | (39,467) | (42,993) |
| **კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა** | **325,770** | **344,071** |

*კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი*

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შედარება ტიპების მიხედვით შემდეგია:

| | *კორპორატიული სესხები 2008* | *სესხები მცირე ბიზნესისათვის 2008* | *შამომხმარებლო სესხები 2008* | *დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები 2008* | *სხვა სესხები ფიზიკური პირებისათვის 2008* | *სულ 2008* |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 32,024 | 441 | 194 | - | 10,334 | **42,993** |
| წლის დანარიცხი | 52,022 | 3,924 | 2,011 | - | 14,790 | **72,748** |
| უწინ ჩამოწერილი სესხების აღდგენა | 819 | 221 | 86 | - | 121 | **1,247** |
| ჩამოწერილი თანხები | (54,418) | (722) | (676 | - | (21,705) | **(77,521** |
| **2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **30,447** | **3,864** | **1,615** | **-** | **3,540** | **39,467** |
| ინდივიდუალური გაუფასურება | 28,456 | 231 | - | - | 3,122 | **31,809** |
| კოლექტიური გაუფასურება | 1,991 | 3,633 | 1,615 | - | 418 | **7,658** |
| | **30,447** | **3,864** | **1,615** | **-** | **3,540** | **39,467** |
| ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების ჯამური თანხა , ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე. | 49,816 | 826 | - | - | 5,571 | **56,213** |

*(ათას ლარში)*

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

| | *კორპორატიული სესხები 2007* | *სესხები მცირე ბიზნესისათვის 2007* | *სამომხმარებლო სესხები 2007* | *დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები 2007* | *სხვა სესხები ფიზიკური პირებისათვის 2007* | *სულ 2007* |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 28,542 | 196 | 667 | 282 | 5,201 | 34,888 |
| წლის დანარიცხი | 3,476 | 5,519 | (356) | 577 | 6,301 | 15,517 |
| უწინ ჩამოწერილი სესხების აღდგენა | 6 | 203 | 44 | – | – | 253 |
| ჩამოწერილი თანხები | – | (5,477) | (161) | (859) | (1,168) | (7,665) |
| **2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **32,024** | **441** | **194** | **–** | **10,334** | **42,993** |
| ინდივიდუალური გაუფასურება | 29,950 | – | – | – | 9,304 | 39,254 |
| კოლექტიური გაუფასურება | 2,074 | 441 | 194 | – | 1,030 | 3,739 |
| | **32,024** | **441** | **194** | **–** | **10,334** | **42,993** |
| ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების ჯამური თანხა , ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე. | **55,058** | **–** | **–** | **–** | **9,745** | **64,803** |

*ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები*

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი ,სესხებზე, რომელთათვისაც აღიარებულ იქნა ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, 2008 წლის 31 დემებრის მდგომარეობით შედგება 5,833 ლარისაგან (2007- 7,394 ლარი)

*სესხის უზრუნველყოფა*

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- კომერციული სესხებისათვის უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები, სავაჭრო მოთხოვნები და საბანკო გარანტიები.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისათვის საცხოვრებელი ფართის გირაო, სასაქონლო მატერიალური მარაგები, საყოფაცხოვრებო აქტივები და მესამე მხარეთა გარანტიები.

ბანკი ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებიდან მათ შვილობილ კომპანიებთან მიმართებაში.

ბანკი ახდენს უზრუნველყოფის მოცულობის მონიტორინგს. ბანკმა შესაძლოა მსესხებლისგან მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფა სესხის ხელშეკრულების თანახმად. გაუფასურების ზარალთან დაკავშირებით, მიღებული უზრუნველყოფის სარეალიზაციო ღირებულება ფასდება რიგ პროდუქტთან მიმართებაში ლიკვიდურობისა და სასარგებლო სიცოცხლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

წლის განმავლობაში ბანკის მფლობელობაში გადავიდა შენობა, შეფასებული 1,540 ლარად (2007- 10 ლარი) ამჟამად ბანკი მისი გაყიდვის პროცესშია. ბანკის პოლიტიკით, უზრუნელყოფიდან შერჩენილი აქტივები უნდა გაიყიდოს. საფასური გამოიყენება დასაფარი მოთხოვნების შესამცირებლად. ზოგადად, ბანკი არ იყენებს უზრუნველყოფიდან შერჩენილ აქტივებს ბიზნესის მიზნებისათვის.

*კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია*

2008 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია სესხების კონცენტრაცია 177,072 ლარის ოდენობით გაცემული ათი უმსხვილესი მესამე მხარისათვის (მთლიანი სასესხო პორტფელის 48%) (2007 - 187,433 ანუ 48%). აღნიშნული სესხებისათვის აღიარებულ იქნა რეზერვი მოცულობით 11,947 ლარი (2007- 28,763 ლარი)

*(ათას ლარში)*

**7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**

კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებში ჩართულია ერთი მსესხებელი, რომელსაც გააჩნია მთლიანი სასესხო პორტფელის 84,975 ანუ 23% (2007- 112,375 ლარი; 29%) ამ სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 12.75%-ს შეადგენს, ხოლო ვადა იწურება 2012 წლის მაისში. აღნიშნული სესხი დაფინანსებულ იქნა მშობელი ვე-ტე-ბე ბანკის მიერ (იხილეთ შენიშვნა 15). საკრედიტო რისკების უზრუნველსობა აღნიშნულ სესხთან მიმართებაში უზრუნველყოფილია მშობელი ბანკის მიერ 2005 წლის 30 ნოემბერს.

სესხები გაცემულ იქნა კლიენტების შემდეგ ტიპებზე:

| | **2008** | **2007** |
|---|---|---|
| კერძო კომპანიები | 250,260 | 282,753 |
| ფიზიკური პირები | 114,977 | 104,285 |
| სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებები | - | 26 |
| | **365,237** | **387,064** |

2008 და 2007წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაცემა ხდებოდა საქართველოში, შემდეგ სექტორებზე:

| | **2008** | **2007** |
|---|---|---|
| ენერგეტიკა | 129,424 | 113,024 |
| ფიზიკური პირები | 114,977 | 104,285 |
| ვაჭრობა და მომსახურება | 67,499 | 85,450 |
| უძრავი ქონების მშენებლობა | 37,025 | 53,631 |
| წარმოება | 9,175 | 9,084 |
| სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები | 1,570 | 2,108 |
| ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები | 844 | 7,781 |
| სხვა | 4,723 | 11,701 |
| | **365,237** | **387,064** |

**8. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები**

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები შედგებოდა კორპორაციული აქციებისაგან 6 ქართულ კომპანიაში, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 1,389 ლარი. ამაში შედის 2008 წლის განმავლობაში განხორციელებული გაერთიანებული საკლირინგო ცენტრის 10% ინვესტიციიის შეძენა. აღნიშნული კომპანია დაკავებულია კომუნალური გადასახადების კლირინგით. 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები შედგებოდა კორპორაციული აქციებისაგან 5 ქართულ კომპანიაში, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 1,335 ლარი.

*(ათას ლარში)*

## 9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2008 და 2007 წლებში შემდეგია:

| | *მიწა და შენობა ნაგებობები* | *კომპიუტერებ ი და კომუნიკაციებ ი* | *ავეჯი და საოფისე მოწყობილობ ები* | *სატრანსპორტ ო საშუალებები* | *საიჯარო გაუმჯობესებები* | *დაუმთავრე ბელი კაპდაბანდე ბა* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გადაფასებული თანხის მოცულობა** | **19,959** | **4,240** | **2,574** | **2,096** | **461** | **-** | **29,330** |
| **2006 წლის 31 დეკემბერი** | 1,965 | 763 | 458 | 753 | 12 | - | 3,951 |
| მატება | (6) | (487) | (362) | (530) | (52) | - | (1,437) |
| კლება | 7,108 | - | - | - | - | - | 7,108 |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **29,026** | **4,516** | **2,670** | **2,319** | **421** | **-** | **38,952** |
| მატება | 157 | 836 | 680 | 272 | 189 | 78 | 2,212 |
| კლება | (14) | (300) | (212) | (403) | (72) | - | (1,001) |
| გადაფასების ეფექტი **2008 წლის 31 დეკემბერი** | **29,169** | **5,052** | **3,138** | **2,188** | **538** | **78** | **40,163** |
| | | | | | | | |
| **დარიცხული ცვეთა და გაუფასურება** | | | | | | | |
| **2006 წლის 31** | **(803)** | **(2,544)** | **(1,325)** | **(719)** | **(19)** | - | **(5,410)** |
| ცვეთის | (416) | (822) | (386) | (431) | (9) | - | (2,064) |
| კლება | | 476 | 288 | 315 | 3 | | 1,082 |
| გადაფასების | (465) | - | - | - | - | - | (465) |
| **2007 წლის 31** | **(1,684)** | **(2,890)** | **(1,423)** | **(835)** | **(25)** | - | **(6,857)** |
| ცვეთის დანარიცხი | (580) | (777) | (380) | (425) | (296) | - | (2,458) |
| კლება | 1 | 295 | 172 | 322 | 7 | | 797 |
| გადაფასების ეფექტი **2008 წლის 31 დეკემბერი** | **(2,263)** | **(3,372)** | **1,631** | **(938)** | **(314)** | | **(8,518)** |
| | | | | | | | |
| **ნარჩენი საბალანსო ღირებულება: 2006 წლის 31 დეკემბერი** | **19,156** | **1,696** | **1,249** | **1,377** | **442** | **-** | **23,920** |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **27,342** | **1,626** | **1,247** | **1,484** | **396** | **-** | **32,095** |
| **2008 წლის 31 დეკემბერი** | **26,906** | **1,680** | **1,507** | **1,250** | **224** | **78** | **31,645** |

*(ათას ლარში)*

## 9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2007 წლის 15 ნოემბერს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა ბანკის მიწის და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შეფასება. ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა ბაზრის მონაცემზე დაფ დაყრდნობით. საბაზრო მეთოდი გამოყენებულ იქნა სამართლიანი ღირებულების დასადგენად, შემოსავლის მეთოდი გამოყენებულ იქნა მიღებული მოცულობის დასამტკიცებლად, ხოლო ფასის მეთოდი გამოყენებულ იქნა უძრავი ქონების ფასის განსაზღვრის მიზნით იქ, სადაც არ მოიპოვებოდა ინფორმაცია ანალოგიური ძირითადი საშუალებების მიმდინარე გაყიდვებსა თუ საიჯარო განაკვეთებზე. მიწის და შენობების ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2007 წლის. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,852 ლარი, რაც წარმოადგენს ბანკის მიწისა და შენობა-ნაგებობების მოცულობის ზრდას გადაფასების შემდგომ და გათვალისწინებულია კაპიტალში, გადაფასების რეზერვში.

2008 წლის..31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა გაანალიზა 2008 წლის განმვლობაში შენობების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები. ანალიზმა ცხადყო, რომ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობების შესაფერისი ღირებულება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობასთან შედარებით. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ახალი გადაფასება არ განხორციელებულა.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო ვალდებულება 1,017 ლარის ოდენობით (2007 – 1,028 ლარი) გაანგარიშებულ იქნა სამართლიანი ღირებულების გადაფასებასთან მიმართებით, რომელიც აღიარებულ იქნა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვთან კორესპოდენციაში.

გადაფასების ეფექტის გათვალისწინების გარეშე ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 21,698 ლარს (2007- 21,555 ლარი), ხოლო აკუმულირებული ცვეთა -1,645 (2007-1,066 ლარი).

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ექსპლუატაციაში მყოფი მაგრამ სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 2,569 და 2,071 ლარს შესაბამისად.

## 10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების მოძრაობა იყო შემდეგი:

| | *ლიცენზიები* | *პროგრამული უზრუნველყოფა* | *სულ* |
|---|---|---|---|
| **ფასი** | | | |
| **2006 წლის 31 დეკემბერი** | **169** | **160** | **329** |
| მატება | 3 | 222 | 225 |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **172** | **382** | **554** |
| მატება | 0 | 18 | 18 |
| **2008 წლის 31 დეკემბერი** | **172** | **400** | **572** |
| | | | |
| **აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება** | | | |
| **2006 წლის 31 დეკემბერი** | **(130)** | **(88)** | **(218)** |
| ამორტიზაციის დანარიცხი | (20) | (22) | (42) |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **(150)** | **(110)** | **(260)** |
| ამორტიზაციის დანარიცხი | (10) | (46) | (56) |
| **2008 წლის 31 დეკემბერი** | **(160)** | **(156)** | **(316)** |
| | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება:** | | | |
| **2006 წლის 31 დეკემბერი** | **39** | **72** | **111** |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **22** | **272** | **294** |
| **2008 წლის 31 დეკემბერი** | **12** | **244** | **256** |

*(ათას ლარში)*

## 11. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| მიმდინარე საგადასახადო ხარჯი | – | – |
| გადავადებული საგადასახადო ხარჯი/(სარგებელი) – დროებითი სხვაობის წარმოშობა (შებრუნება) | (1,836) | 1,665 |
| მინუს: გადავადებული გადასახადი, პირდაპირ აღიარებული კაპიტალში | 11 | (995) |
| **მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)** | **(1,825)** | **670** |

საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციების შევსება. 2008 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოში 20%-დან 15%-მდე შემცირდა. ბანკებისათვის მოგების გადასახადის განაკვეთი, 2008 წლის 1 იანვრამდე შეადგენდა 20%. ბანკების გარდა, სხვა კომპანიების მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 15% და 20%-ს 2008 და 2007 წელს შესაბამისად.

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| **ზარალი დაბეგვრამდე** | **(30,252)** | **(4,818)** |
| კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი | 15% | 20% |
| **თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი /(სარგებელი) კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით** | **(4,538)** | **(964)** |
| ცვლილება არააღიარებულ გადავადებულ საგადასახადო აქტივში | 1,041 | **-** |
| არაგამოქვითვადი ხარჯები : | | |
| - პროცენტი | 34 | 66 |
| - ქველმოქმედება | 334 | 102 |
| - გართობის ხარჯი | 12 | 20 |
| - სხვა არაგამოქვითვადი ხარჯები | 1,292 | 8 |
| შემცირებული საგადასახადო განაკვეთის ეფექტი | – | 1,438 |
| **მოგების გადასახადის ხარჯი / (სარგებელი)** | **(1,825)** | **670** |

31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში მოიცავს:

*(ათას ლარში)*

11. გადასახადები (გაგრძელება)

| | *2006* | *დროებითი სხვაობის წარმოშობა(შებრუნება)* | | *2007* | *დროებითი სხვაობის წარმოშობა(შებრუნება)* | | *2008* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | *გადავადებული გადასახადი აღიარებული მოგება-ზარალში* | *გადავადებული გადასახადი აღიარებული კაპიტალში* | | *გადავადებული გადასახადი აღიარებული მოგება-ზარალში* | *გადავადებული გადასახადი აღიარებული კაპიტალში* | |
| **გადასახადის შედეგი გამოქვითვად დროებით სხვაობაზე:** | | | | | | | |
| სესხის გაუფასურების რეზერვი | 8,989 | (5,050) | | 3,938 | (3,058) | | 880 |
| მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი | - | | | 2,807 | 5,941 | | 8,748 |
| დარიცხული საპროცენტო ხარჯი | - | | | 634 | (634) | | - |
| ფინანსური ინსტრუმენტების კორექცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად | 227 | (103) | | 124 | 95 | | 219 |
| დარიცხული ხარჯი | 129 | (8) | | 121 | 560 | | 681 |
| სხვა | 61 | (35) | | 26 | (24) | | 2 |
| **მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები** | **9,406** | **(1,756)** | | **7,650** | **2,880** | | **10,530** |
| არააღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები | (4,445) | 1,111 | | (3,334) | (1,041) | | (4,375) |
| **გადავადებული საგადასახადო აქტივები** | **4,961** | **(645)** | | **4,316** | **1,839** | | **6,155** |
| **გადასახადის შედეგი დასაბეგრ დროებით სხვაობაზე:** | | | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | (328) | 25 | | (353) | - | | (353) |
| ძირითადი საშუალებების გადაფასება | (44) | | (984) | (1,028) | | 11 | (1,017) |
| **სხვა** | - | | | - | (14) | | (14) |
| **გადავადებული საგადასახადო ვალდებულება** | **(372)** | **25** | **(984)** | **(1,381)** | **(14)** | **11** | **(1,384)** |
| **წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები** | **4,589** | **(670)** | **(984)** | **2,935** | **1,825** | **11** | **4,771** |

*(ათას ლარში)*

## 11. გადასახადები (გაგრძელება)

ბანკისათვის ხელმისაწვდომია 18,713 ლარი ოდენობის მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი, რომლის ვადა ამოიწურება 2012 წელს, და 39,604 - რომლის ვადა ამოიწურება 2013 წელს თუ არ მოხდა აღნიშნული თანხის გამოყენება.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე მოგების საგადასახადო აქტივები 603 ლარს (2007- 2,044 ლარს) შეადგენს და უკავშირდება წინასწარ გადახდილ მოგების გადასახადს.

## 12. სხვა გაუფასურების რეზერვები

სხვა გაუფასურების რეზერვების დინამიკა შემდეგია:

| | *სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი* | *რეზერვი იურიდიული მოთხოვნის მიხედვით* | *სულ* |
|---|---|---|---|
| **2006 წლის 31 დეკემბერი** | **6** | **–** | **6** |
| დანარიცხი | 112 | | 112 |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **118** | **–** | **118** |
| დანარიცხი (შენიშვნა 19) | (8) | 3,334 | 3,326 |
| ჩამოწერილი | **(128)** | **–** | **(128)** |
| ამოღება | **18** | **–** | **18** |
| **2008 წლის 31 დეკემბერი** | **–** | **3,334** | **3,334** |

აქტივების გაუფასურების რეზერვების გამოქვითვა ხდება დაკავშირებული აქტივების საბალანსო ღირებულებიდან. ბანკის მიმართ არსებული მოთხოვნების, გარანტიებისა და ვალდებულებების რეზერვები ასახულია სხვა ვალდებულებებში.

## 13. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივები მოიცავს:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| დასაკუთრებული უძრავი ქონება (გირაო) (შენიშვნა 7) | 1,540 | 21 |
| დაუსრულებელი ანგარიშსწორება | 237 | 25 |
| ძირითად საშუალებათა ღირებულების წინასწარ გადახდა | 219 | 34 |
| წინასწარ გადახდილი ხარჯები | 128 | 803 |
| გარანტიებზე დარიცხულიმისაღები საკომისიო | 33 | 161 |
| სხვა | 6 | 297 |
| **მთლიანი სხვა აქტივი** | **2,163** | **1,341** |
| მინუს-სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 12) | **–** | (118) |
| **სხვა აქტივები** | **2,163** | **1,223** |

*(ათას ლარში)*

## 13. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| რეზერვი იურიდიული მოთხოვნის მიხედვით (შენიშვნები 12 და 19) | 3,334 | - |
| დარიცხული ხარჯი | 1,504 | 1,011 |
| ბანკის აქციონერთათვის გადასახდელი დივიდენდები | 233 | 233 |
| განუხორციელებული ოპერაციები | 87 | 226 |
| პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები | 87 | 28 |
| ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯი | 11 | 70 |
| დარიცხული გადასახადები | 9 | 106 |
| გადახდილი ავანსები | 9 | 23 |
| სხვა | 18 | 98 |
| **სხვა ვალდებულებები** | **5,292** | **1,795** |

## 14. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| მიმდინარე ანგარიშები | 92,388 | 113,762 |
| ვადიანი დეპოზიტები და სესხები | 22,207 | 38,188 |
| **ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | **114,595** | **151,950** |
| **უზრუნველყოფა ოპერაციებისათვის** | **-** | **3** |

მიმდინარე ანგარიშები მოიცავს VTB Bank OJSC მიმდინარე ანგარიშს, რომლის მთლიანი ოდენობა 91,509 ლარს შეადგენს ანუ მთლიანი მიმდინარე ანგარიშების 99%-ს უტოლდება (2007 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 112,923 ლარს შეადგენდა და მთლიანი მიმდინარე ანგარიშების 99%-ს უტოლდებოდა) თანხების გამოყოფა მოხდა გრძელვადიანი პროექტის დაფინანსების მიზნით, 2005 წლის 16 სექტემბერს სათაო ბანკსა და მშობელ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად. მიმდინარე ანგარიშზე გადასახდელი პროცენტი შეადგენს წლიურ 12.25%-ს.

ვადიანი დეპოზიტების და სესხების მთლიანი თანხა მოიცავს სესხებს VTB Bank OJSC-სგან მთლიანი ღირებულებით 16,110 ლარი და შეადგენს ვადიანი დეპოზიტების და სესხების მთლიანი მოცულობის 73%-ს. (2007- 33,730 ანუ 88%) აღნიშნული სესხების საკონტრაქტო ვადიანობაა 3 თვე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ვარირებს წლიური 9.50% - 15.00% (2007- 7.80%-9.00%).

## 15. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე

მეანაბრეთა წინაშე არსებული ვალდებულებები შედგებოდა:

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| მიმდინარე ანგარიშები | 68,402 | 87,827 |
| ვადიანი დეპოზიტები | 84,861 | 141,372 |
| **ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე** | **153,263** | **229,199** |
| **გარანტიების უზრუნველყოფა** | **439** | **2,201** |
| **გადახდის ოპერაციების უზრუნველყოფა** | **16** | **20** |

*(ათას ლარში)*

## 15. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე (გაგრძელება)

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ათი უმსხვილესი მეანაბრე კლიენტის მიმართ, მთლიანი ვალდებულება შეადგენდა 53,207 ლარს (35%) (2007- 55,071 ლარს (24%)).

ვადიანი დეპოზიტების ნაწილი 62,367 ლარის ოდენობით ფიზიკურ პირებს ეკუთვნის (2007 - 79,601 ლარს) ხოლო 22,494 ლარი კი – იურიდიულ პირებს (2007 – 23,322 ლარი). ბანკმა უნდა დააბრუნოს დეპოზიტი მეანაბრის მოთხოვნისას. თუ ვადიანი დეპოზიტი დაბრუნებულ იქნა მეანაბრისათვის ვადის გასვლამდე, დეპოზიტზე პროცენტის გადახდა ხდება მოთხოვნამდე დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთით, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული ხელშეკრულებაში.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გააქვს ვადიანი დეპოზიტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, კლიენტს ეკისრება ჯარიმა დეპოზიტის ვადამდელი დარღვევისათვის. ასეთი გზით მიღებული ჯარიმები მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ მოიცავს ანგარიშებს შემდეგ მეანაბრეებთან:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები | 7,629 | 6,542 |
| კერძო საწარმოები | 67,881 | 78,811 |
| ფიზიკური პირები | 77,753 | 143,846 |
| **ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე** | **153,263** | **229,199** |

მეანაბრეთა ანგარიშების ეკონომკური ანალიზი შემდეგია:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| ფიზიკური პირები | 77,753 | 143,846 |
| ტრანსპორტი და კომუნიკაცია | 35,056 | 28,718 |
| ვაჭრობა და მომსახურება | 14,367 | 20,207 |
| სახელმწიფო | 5,810 | 4,015 |
| წარმოება | 5,464 | 1,925 |
| უძრავი ქონების მშენებლობა | 4,323 | 7,663 |
| ენერგეტიკა | 2,958 | 7,192 |
| დაზღვევა | 345 | 1,939 |
| საწვავი | 690 | 140 |
| სხვა | 6,497 | 13,554 |
| **ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე** | **153,263** | **229,199** |

## 16. სხვა ნასესხები სახსრები

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| კომერციული ბანკებიდან ნასესხები სახსრები | 72,476 | 19,204 |
| საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან ნასესხები სახსრები | 26,608 | 26,815 |
| სხვა | – | 3 |
| **ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | **99,084** | **46,022** |

*(ათას ლარში)*

## 16. სხვა ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები მოზიდული იყო აშშ დოლარსა, მათი ხანგრძლივობა მერყეობდა 2010 წლის ივლისიდან 2012 წლის სექტემბრამდე (2007 წელს – 2012 წლის სექტემბრამდე), ხოლო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრებოდა LIBOR+2%-დან 14%-მდე (2007 წელს – LIBOR+2%).

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები მოზიდული იყო აშშ დოლარში და ევროში, მათი ხანგრძლივობა მერყეობდა 2009 წლის ივლისიდან 2032 წლის დეკემბრამდე (2007 – 2008 წლის მარტიდან 2032 წლის დეკემბრამდე), ხოლო საპროცენტო განაკვეთი – 0,75%-დან LIBOR +4.5%-მდე (2007 – 0,75%-დან LIBOR+4.5%).

ბანკს აქვს სავალდებულო შემზღუდავი კოეფიციენტების დაცვის ვალდებულებები EBRD-დან ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 17,297 ლარს (2007 – 16,476 ლარი). 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს დარღვეული აქვს 5 კოეფიციენტი, რომელიც დაკავშირებულია EBRD-ის სესხთან: კაპიტალის ადეკვატურობის, ერთი მხარის მიმართ გასაწევი რისკის, ერთ დღეზე მეტი სასესხო დავალიანების შეფარდება მთლიან სასესხო პორტფელთან, ღია სავალუტო პოზიციის შეფარდება მთლიან კაპიტალთან, ასევე უარყოფითი ლიკვიდურობის გეპი EBRD ინფორმირებულია აღნიშნულის შესახებ და თანახმაა არ გამოითხოვოს სესხი ვადის ამოწურვამდე. ხელშეკრულების პირობების თანახმად EBRD-ს უფლება აქვს გამოითხოვოს სესხი სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, ხელშეკრულების ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 17. სუბორიდინირებული სესხი

2005 წლის 25 ოქტომბერს ბანკმა მშობელ ბანკთან დადო ხელშეკრულება 12,000 აშშ დოლარის მთლიანი ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე. საპროცენტო განაკვეთი LIBOR+3..5%-ით განისაზღვრა, ექვემდებარებოდა კვარტალურ გადახდას და მისი ხანგრძლივობა 2011 წლის 25 ოქტომბრამდე განისაზღვრა. 2008 წლის 31 დეკემბერს, სესხის დაუფარავი თანხა 20,254 ლარს შეადგენდა (2007- 19.395 ლარს). ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სესხის დაფარვა მოხდება მხოლოდ ბანკის ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდგომ.

## 18. კაპიტალი

დაუფარავი, ბრუნვაში გაშვებული და სრულად განაღდებული აქციების დინამიკა ასეთია:

| | *აქციების რაოდენობა* | *ნომინალური რაოდენობა* |
|---|---|---|
| | *ჩვეულებრივი* | *ჩვეულებრივი* |
| **2006 წლის 31 დეკემბერი** | **40,967,699** | **40,968** |
| აქციების ემისია | 24,114,645 | 24,114 |
| **2007 წლის 31 დეკემბერი** | **65,082,344** | **65,082** |
| აქციების ემისია | 21,273,357 | 21,274 |
| **2008 წლის 31 დეკემბერი** | **86,355,701** | **86,356** |

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა შეადგენს 86,388,002 ცალს (2007- 86,388,002 ცალი) (აქციების სრული რაოდენობა) 1 ლარი ნომინალური ღირებულებით. ყველა აქცია გამოშვებულ იქნა, საიდანაც მთლიანად დაფარულია 86,355,701 (2007- 65,082,344).

ბანკის სააქციო კაპიტალი აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, ნებისმიერი დივიდენდი თუ კაპიტალის განაწილება უნდა განხორციელდეს ლარში.

*(ათას ლარში)*

## 18. კაპიტალი (გაგრძელება)

2007 წლის დეკემბერში ბანკის აქციონერების მიერ დამტკიცებულ იქნა სააქციო კაპიტალის ზრდა დამატებითი 45,388 ჩვეულებრივი აქციის ოდენობით, 1 ლარი ნომინალური ღირებულებით და განთავსდა ნომინალური ღირებულებით. საქართველოს საბუღალტრო და საბანკო კანონმდებლობის თანახმად, სააქციო კაპიტალის ზრდა რეგისტრირდება აქციის განაღდებისთანავე. 2007 წელს აქციების გამოშვებიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 24,114 ლარი. 2007 წლის 18 დეკემბერს აქციების გამოშვება დარეგისტრირებულ იქნა ნოტარიუსის მიერ. გამოშვებული აქციების დარჩენილი ნაწილი – 21,274 აქცია – მთლიანად განაღდებულ იქნა 2008 წლის 4 მარტს.

საქართველოს კანონდებლობისა და ბანკის ნორმატიული აქტების თანახმად, დივიდენდს აქციონერი მიიღებს მხოლოდ ბანკის აკუმულირებელი გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც ასახულია ფასს-ის მიხედვით შედგენილ ბანკის კონსოლიდირებულ ფინანსურ ამგარიშგებაში. 2008 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, ბანკის აკუმულირებული ზარალი (64,002) ლარს შეადგენდა (2007- (35,707)).

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობების და სამართლიანი ღირებულების მატებისა და კლების აღრიცხვისათვის იმ პირობით, თუ ამგვარი კლება დაკავშირებულია იმავე აქტივების ზრდასთან, რომელიც წინა პერიოდში აღიარებული იყო კაპიტალში.

## 19. პირობითი ვალდებულებები

### საოპერაციო გარემო

საქართველო კვლავაც განუხრელად ახორციელებს სამართლებრივ, საგადასახადო და მარეგულირებელი სფეროს რეფორმებს, რაც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს აღნიშნული რეფორმები და სამთავრობო ორგანოების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებები.

საქართველოს ეკონომიკაზე აისახება ბაზრის აქტიურობის კლება და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. წლის განმავლობაში განვითარებულმა მთავარმა მოვლენებმა გავლენა იქონია ბანკის საქმიანობაზე – 2008 წლის 8 აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოს, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაწილეობით, ასევე ფინანსური კრიზისი, რომელმაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მსოფლიო ეკონომიკაზე 2008 წლის ბოლო კვარტლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბანკს არ განუცდია პირდაპირი ზარალი აღნიშნული კონფლიქტის დროს, ამან სერიოზული ზარალი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას, ქვეყნის რეიტინგი Fitch და S&P მიხედვით დაიწია. ამჟამად მსოფლიოში არსებულმა კრიზისმა გამოიწვია ბაზრის არასტაბილურობა, ლიკვიდურობის მნიშვნელოვანი გაუარესება საბანკო სექტორში, და საკრედიტო პირობების გამკაცრება საქართველოში. კვლავაც არსებობს გარკვეული ბუნდოვანება კაპიტალის ხელმისაწვდომობასა და მის ღირებულებასთან დაკავშირებით ბანკისთვის და მისი მოსარგებლე მხარეებისთვის, რომელმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ოპერაციებზე და ბიზნეს პროექტებზე.

ბანკის მსესხებელი შეიძლება დაზარალდეს ლიკვიდურობის გაუარესების გამო, რომელსაც შესაძლოა თავის მხრივ ემოქმედა მათ გადახდისუნარიანობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკის მიერ აღიარებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების განახლებული მონაცემი, მათი გაუფასურების შეფასების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ახორციელებს სათანადო ზომებს ბანკის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, გაუთვალისწინებულმა მოვლენებმა შესაძლოა დღეისათვის რთულად შეფასებადი ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

### კანონმდებლობა

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ბანკის წინაშე შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე. სასამართლო დავა კვიპროსზე დაფუძნებულ კომპანიასა და "ვითიბი ბანკ (ჯორჯიას)" შორის განიხილება ლონდონის სასამართლოს საერთაშორისო არბიტრაჟში. სასარჩელე თანხა 6.500 აშშ დოლარს შეადგენს. ბანკის მენეჯმენტისა და ბანკის იურიდიული მრჩეველის შეფასებით მოსალოდნელი ზარალი არ აღემატება 2,000 აშშ დოლარს (3,334 ლარს 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). აღნიშნული თანხა აღიარებულია ოპერაციების კონსოლიდირებულ ანგაროშგებაში. (შენიშვნა 12) და სხვა ვალდებულებებში (შენიშვნები 12 და 13).

*(ათას ლარში)*

## 19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

### პირობითი ფინანსური ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ფინანსური ვალდებულებები შედგებოდა:

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| **კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები** | | |
| გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი | 9,095 | 16,603 |
| აკრედიტივები | 454 | 2,745 |
| გაცემული გარანტიები | 7,054 | 11,759 |
| **პირობითი ფინანსური ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)** | **16,603** | **31,107** |
| მინუს – აკრედიტივებისა და გაცემული გარანტიების უზრუნველყოფის სახით მიღებული ნაღდი ფული | (439) | (2,201) |
| **პირობითი ფინანსური ვალდებულებები** | **16,164** | **28,906** |
| **საოპერაციო იჯარის ვალდებულება** | | |
| არაუმეტეს 1 წლისა | 91 | 54 |
| 1 წელზე მეტი, არაუმეტეს 5 წლისა | 77 | – |
| | 168 | 54 |

### დაზღვევა

ბანკი დღესდღეობით არ აზღვევს შეცდომის შედეგად გამოწვეულ ვალდებულებებს. ამჟამად ბანკში მოქმედებს თანამშრომლის სიცოცხლის დაზღვევა სადაზღვევო კომპანია "აი-სი გრუპ"-თან. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულება მოითხოვს ამჟამინდელი დამქირავებლისგან სადაზღვევო მომსახურების ყოველთვიურ შენატანს.

## 20. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

| | 2008 | 2007 |
|---|---|---|
| საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან | 2,900 | 2,527 |
| საკომისიო ნაღდი ფულით ოპერაციებიდან | 987 | 1,078 |
| საკომისიო გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივებიდან | 646 | 1,749 |
| სხვა | 98 | 421 |
| **გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი** | **4,631** | **5,775** |
| საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან | (899) | (777) |
| საკომისიო ნაღდი ფულით ოპერაციებიდან | (137) | (44) |
| საკომისიო მიღებული გარანტიებისა და აკრედიტივებიდან | (36) | (598) |
| სხვა | (77) | (55) |
| **გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი** | **(1,149)** | **(1,474)** |
| **წმინდა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი** | **3,482** | **4,301** |

## 21. მოგება გაყიდვიდან რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის მოგება- ზარალში ასახვით და სხვა შემოსავალი

### მოგება გაყიდვიდან რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის მოგება- ზარალში ასახვით

2008 წლის იანვარში ბანკმა Cimelio Investments Ltd.-გან შეიძინა სს "ენერჯი ინვესტის" აქციების 8% თანხით 78 ლარი და 34% აქციონერ Lacapra Enterprise Limited-გან თანხით 12,696 ლარი. აღნიშნული აქციები 51,116 ლარად მიეყიდა Parentelato Limited-ს. ამ ერთჯერადი ტრანზაქციით ბანკის მიერ მიღებულმა მოგებამ შეადგინა 38,342 ლარი.

*(ათას ლარში)*

**21. მოგება გაყიდვიდან რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის მოგება- ზარალში ასახვით და სხვა შემოსავალი (გაგრძელება)**

**სხვა შემოსავალი**

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| დაკრედიტების ოპერაციების შედეგად მიღებული ჯარიმები | 975 | 639 |
| შემოსავალი დასაკუთრებული უძრავი ქონების გაყიდვიდან | 463 | - |
| დეპოზიტის ვადამდე დაფარვის გამო დაკისრებული ჯარიმები | 106 | 388 |
| სხვა ჯარიმები | 29 | 55 |
| სხვა | 79 | 21 |
| **სხვა შემოსავალი** | **1,652** | **1,103** |

**22 ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი**

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| ხელფასები და პრემიები | 17,108 | 11,250 |
| სოციალური დაზღვევის გადასახადები | – | 2,243 |
| **პერსონალის ხარჯები** | **17,108** | **13,493** |
| ქველმოქმედება | 2,227 | 515 |
| მარკეტინგი და რეკლამა | 1,093 | 1,528 |
| საოფისე მოწყობილობები | 1,059 | 939 |
| იჯარა | 861 | 606 |
| ძირითადი საშუალებების შენახვისა და რემონტის ხარჯი | 834 | 558 |
| იურიდიული თუ სხვა სახის პროფესიული მომსახურება | 801 | 439 |
| კომუნიკაცია | 598 | 463 |
| დაცვა | 586 | 603 |
| გადასახადები | 519 | 1,184 |
| მივლინებები და დაკავშირებული ხარჯები | 363 | 293 |
| კომუნალური ხარჯები | 343 | 308 |
| დარიცხული ჯარიმები | 262 | 21 |
| გართობა | 258 | 216 |
| დაზღვევა | 233 | 191 |
| სხვა | 671 | 357 |
| **სხვა საოპერაციო ხარჯები** | **10,708** | **8,221** |

2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობამ გააუქმა სოციალური დაზღვევის ხარჯი, რომელსაც უწინ იხდიდა დამქირავებელი დაქირავებულის სახელით. შესაბამისად სოციალური დაზღვევის გადასახადები არ იყო გაწეული.

**23. რისკების მართვა**

**შესავალი**

რისკები ბანკის საქმიანობისთვის თანდაყოლილია, მაგრამ რისკების მართვა ხორციელდება უწყვეტი იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ბანკის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობასა და საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები. საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი, თავის მხრივ, იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად. ასევე, დამახასიათებელია საოპერაციო რისკიც.

*(ათას ლარში)*

## 23. რისკების მართვა (გაგრძელება)

### შესავალი (გაგრძელება)

რისკების დამოუკიდებელი კონტროლი არ ითვალისწინებს ისეთ ბიზნესრისკებს, როგორიცაა გარემოსთან, ტექნოლოგიურ და ინდუსტრიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები. მათი ზედამხედველობა ხორციელდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის საშუალებით.

*რისკების მართვის სტრუქტურა*

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს ბანკის დირექტორთა საბჭო, მაგრამ რიკსების მართვა და ზედამხედველობა ასევე ხორციელდება ბანკის დამოუკიდებელი დეპარტამენტების მიერ.

*სამეთვალყურეო საბჭო*

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე.

*დირექტორთა საბჭო*

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო პროცესის ზედამხედველობაზე ბანკში. აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტს აკისრია საყოველთაო პასუხისმგებლობა, ჩამოაყალიბოს რისკების მართვის სტრატეგია და დანერგოს მასთან დაკავშირებული პრინციპები, წესები, პოლიტიკა და ლიმიტები. იგი პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე და მართავს და ზედამხედველობს შესაბამის გადაწყვეტილებებს რისკებთან დაკავშირებით.

*რისკების მართვის დეპარტამენტი*

რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე რისკების კონტროლის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

*რისკების კონტროლის დეპარტამენტი*

რისკების მაკონტროლებელი დეპარტამენტი პასუხისმგებელია, ზედემხედველობა გაუწიოს პროცედურების შესაბამისობას რისკების პრინციპებთან, პოლიტიკასა და ლიმიტებთან. თითოეულ ბიზნესჯგუფს გააჩნია დეცენტრალიზირებული დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დამოუკიდებელ კონტროლზე. აღნიშნული დეპარტამენტი ზედამხედველობას უწევს რისკის დონის შესაბამისობას დადგენილ ლიმიტებთან და აფასებს ახალი პროდუქტისა და სტრუქტურირებული ტრანზაქციის რისკის ხარისხს. აღნიშნული დეპარტამენტი ვალდებულია, უზრუნველყოს რისკების სრულყოფილი ასახვა რისკის შეფასებისა და ანაგრიშგების სისტემებში.

*ხაზინა*

ბანკის ხაზინა პახუზისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვასა და საერთო ფინანსურ სტრუქტურაზე. ასევე, ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდურობის რისკის მართვა.

*შიდა აუდიტი*

ბანკში რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადექვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი განიხილავს შეფასებების შედეგებს ხელმძღვანელობასთან და მოახსენებს შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის საშუალებით.

*რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა*

ბანკის რისკების შეფასება ხორციელდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც განიხილავს როგორც მოსალოდნელ დანაკარგებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ნორმალურ ვითარებაში, ასევე გაუთვალისწინებულ დანაკარგებს, რომელიც ფასდება წარსულში განცდილი ზარალის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მოდელი იყენებს ალბათობას ისტორიულ გამოცდილობაზე დაყრდნობით, რომლიც

*(ათას ლარში)*

## 23. რისკების მართვა (გაგრძელება)

### შესავალი (გაგრძელება)

დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. ბანკი განიხილავს ყველაზე უარესი სცენარის შესაძლო შედეგებს იმის გათვალისწინებით რომ დადგა ისეთი ექსტრემალურ პირობები, რომელთა დადგომა ნაკლებსავარაუდოა.

სხვადასხვა ბიზნეს სექტორიდან მიღებული ინფორმაციის შემოწმება და დამუშავება ხდება იმისათვის, რომ მოხდეს რისკების აღმოჩენა, ანალიზი და კონტროლი ადრეულ სტადიაზე. ინფორმაცია მიეწოდება დირექტორთა საბჭოს, რისკების კომიტეტსა და თითეული ბიზნესგანყოფილების უფროსს. ანგარიში მოიცავს მთლიან საკრედიტო რისკს, საკრედიტო მეტრიკულ პროგნოზს, ლიმიტებთან დაკავშირებულ გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და რისკის მიმართულების ცლილებებს. თვეში ერთხელ მზადდება დეტალური ანგარიში სექტორების, კლიენტების და გეოგრაფიული რისკების შესახებ. თვიურად უფროსი ხელმძღვანელობა სესხების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობას.

ყოველდღიურად დირექტორთა საბჭოს და სხვა დაკავშირებულ თანამშრომლებს წარედგინება ინფორმაცია ლიკვიდურობის შესახებ.

*რისკის შემცირება*

საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით ბანკი იყენებს უზრუნველყოფას (იხ. ქვემოთ მოცემული დეტალური ინფორმაცია).

### საკრედიტო რისკი

ბანკი დგება საკრედიტო რისკის წინაშე, თუ მომხმარებელი, კლიენტი ან კონტრაგენტი ვერ ფარავს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ბანკი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკებს ლიმიტების დაწესების გზით. ლიმიტი უჩვენებს ინდივიდუალურ მსესხებელთან დაკავშირებული მისაღები რისკის დონეს.

*კრედიტთან დაკავშირებული რისკები*

ბანკი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიონ დაფარვები ბანკის მხრიდან. ასეთი თანხები გროვდება კლიენტებიდან აკრედიტივის პირობების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემისათვის დამახასიათებელი მსგავსი რისკების წინაშე, შესაბამისად, ამ რისკების შემცირებაც ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და საკონტროლო პროცესების საშუალებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკთან დაკავშირებული მაქსიმალური დაფარვა ბალანსის კომპონენტებისთვის, რომელიც ასევე შეიცავს წარმოებულებს. მაქსიმალური დაფარვა მოცემულია ყოველგვარი შემცირების და უზრუნველყოფის გათვალისწინების გარეშე.

| | *შენიშვნები* | *მაქსიმალური დონე 2008* | *მაქსიმალური დონე 2007* |
|---|---|---|---|
| ფული და ფულადი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა) | 5 | 31,753 | 63,599 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი | 6 | 7,207 | 20,433 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 7 | 325,770 | 344,071 |
| სხვა აქტივები (საგადასახადო ორგანოებთან ანგარიშსწორების გარდა) | | 34,064 | 33,612 |
| | | **398,794** | **461,715** |
| პირობითი ფინანსური ვალდებულებები | 19 | 16,603 | 31,107 |
| **მთლიანი საკრედიტო რისკი** | | **415,397** | **492,822** |

თუ ფინანსური ინსტრუმენტები მოცემულია სამართლიანი ღირებულებით, ზემოთ ნაჩვენები რიცხვები წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს, და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება გაიზარდოს ღირებულების ცვლილების შედეგად.

*(ათას ლარში)*

## 23. რისკების მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

*კრედიტის ხარისხიანობა ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით*

კრედიტის ხარისხიანობა ფინანსური აქტივების მიხედვით იმართება ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკს აქტივების სესხებთან დაკავშირებული საბალანსო მუხლების კლასის მიხედვით.

| | | ვადაგადაუცილებელი და არაგაუფასურებული სესხები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | მაღალი შეფასება 2008 | სტანდარტული შეფასება 2008 | ქვე-სტანდარტული შეფასება 2008 | ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები 2008 | სულ 2008 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი | 6 | 7,207 | – | – | – | 7,207 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | | | | | |
| კორპორატიული სესხები | | 95,468 | 31,528 | 36,233 | 51,681 | 214,910 |
| მცირე ბიზნესის სესხები | | 67,105 | 697 | 11,330 | 4,056 | 83,188 |
| სამომხმარებლო სესხები დეპოზიტით | | 20,082 | 22,820 | 15,491 | 1,358 | 59,751 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფიზიკურ პირებზე | | 69 | 109 | – | – | 178 |
| გაცემული სხვა სესხები | | – | 142 | 1,194 | 5,874 | 7,210 |
| | 7 | **182,724** | **55,296** | **64,248** | **62,969** | **365,237** |
| **სულ** | | **189,931** | **55,296** | **64,248** | **62,969** | **372,444** |

| | | ვადაგადაუცილებელი და არაგაუფასურებული სესხები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | მაღალი შეფასება 2007 | სტანდარტული შეფასება 2007 | ქვე-სტანდარტული შეფასება 2007 | ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები 2007 | სულ 2007 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი | 6 | 20,433 | - | - | - | 20,433 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | | | | | |
| კორპორატიული სესხები | | 165,594 | 756 | 995 | 90,487 | 257,832 |
| მცირე ბიზნესის სესხები | | 63,908 | 228 | 286 | 524 | 64,946 |
| სამომხმარებლო სესხები დეპოზიტით | | 31,999 | 239 | 81 | 323 | 32,642 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფიზიკურ პირებზე | | 3,154 | 640 | – | 829 | 4,623 |
| გაცემული სხვა სესხები | | 10,520 | 1,685 | 327 | 14,489 | 27,021 |
| | 7 | **275,175** | **3,548** | **1,689** | **106,652** | **387,064** |
| **სულ** | | **295,608** | **3,548** | **1,689** | **106,652** | **407,497** |

*(ათას ლარში)*

## 23. რისკების მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკის პოლიტიკას თანახმად, ბანკი აწარმოებს ზუსტ და თანმიმდევრულ რისკ-რეიტინგს საკრედიტო პორტფელის მიმართ, რაც ამარტივებს რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას ბიზნესის ყველა სფეროს, გეოგრაფიული არეალისა და პროდუქტის მიხედვით. რისკ-რეიტინგი დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე, საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ კომპონენტს რისკის შეფასებისას.. რისკის შიდა რეიტინგი მორგებულია სხვადასხვა კატეგორიებზე და ეფუძნება ბანკის სარეიტინგო სტრატეგიას. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

ვადაგადაცილებული მაგრამ არაგაუფასურებული სესხები და ავანსები მოიცავს მხოლოდ ისეთ სესხებსა და ავანსებს, რომელთა ვადაგადაცილების ვადა 90 დღეზე ნაკლებია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში, ხოლო 60 დღეზე ნაკლებია – კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ის საცალო სესხები, რომელთა ვადაგადაცილების პერიოდი აღემატება 90 დღეს, აგრეთვე, ის კორპორატიული სესხები, რომელთა ვადაგადაცილების პერიოდი აღემატება 60 დღეს, ითვლება გაუფასურებულ სესხებად. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ხანდაზმულობის ანალიზს ვადაგადაცილებულ სესხებზე. სესხების უმეტესობა, რომელთა ვადაგადაცილების პერიოდი 90 დღეზე ნაკლებია, არ ითვლება გაუფასურებელ სესხად.

*ხანდაზმულობის ანალიზი ვადაგადაცილებულ სესხებზე გარდა ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხებისა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიხედვით:*

| | *30 დღეზე ნაკლები 2008* | *31-დან 60 დღემდე 2008* | *61-დან 90 დღემდე 2008* | *90 დღეზე მეტი 2008* | *სულ 2008* |
|---|---|---|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | | | | |
| კორპორატიული სესხები | 531 | – | – | 1,334 | 1,865 |
| მცირე ბიზნესის სესხები | 849 | 562 | 1,461 | 358 | 3,230 |
| სამომხმარებლო სესხები | 766 | 299 | 136 | 157 | 1,358 |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სხვა სესხები | 50 | – | – | 253 | 303 |
| **სულ** | **2,196** | **861** | **1,597** | **2,102** | **6,756** |

| | *30 დღეზე ნაკლები 2007* | *31-დან 60 დღემდე 2007* | *61-დან 90 დღემდე 2007* | *90 დღეზე მეტი 2007* | *სულ 2007* |
|---|---|---|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | | | | |
| კორპორატიული სესხები | | | | | |
| მცირე ბიზნესის სესხები | 186 | 616 | – | 34,627 | 35,429 |
| სამომხმარებლო სესხები | 132 | 101 | 40 | 251 | 524 |
| დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები | 172 | 69 | 24 | 58 | 323 |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სხვა სესხები | 615 | 214 | – | – | 829 |
| | 3,672 | 106 | 57 | 909 | 4,744 |
| **სულ** | **4,777** | **1,106** | **121** | **35,845** | **41,849** |

კლიენტებზე გაცემული გაუფასურებული სესხებისა და ავანსების შეფასება განხორციელდა კოლექტიური გაუფასურების მეთოდის საფუძველზე. საკრედიტო პორტფელის გაუფასურების რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

*(ათას ლარში)*

***23 რისკების მართვა (გაგრძელება)***

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

*რესტრუქტურიზირებული ფინანსური აქტივის მიმდინარე ღირებულება კლასის მიხედვით*

ქვემოთ მოცემული ცხრილი უჩვენებს რესტრუქტურიზირებული ფინანსური აქტივის მიმდინარე ღირებულებას კლასის მიხედვით:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | |
| კორპორატიული სესხები | 39,316 | 34,389 |
| მცირე ბიზნესის სესხები | 411 | – |
| სამომხმარებლო სესხები | – | – |
| დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები | – | – |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული სხვა სესხები | 224 | 709 |
| **სულ** | **39,951** | **35,098** |

რესტრუქტურიზებული კორპორატიული სესხები მოიცავს სესხებს სამშენებლო სექტორზე, წმინდა საბალანსო ღირებულებით 9,749 ლარი და ენერგეტიკის სექტორზე წმინდა საბალანსო ღირებულებით 23,913 ლარი. სამშენებლო სექტორის რესტრუქტურიზებულ სესხებზე საშუალო შეწონილი პროცენტი რესტრუქტურიზაციის თარიღისთვის – 1 სექტემბერი 2008 – შეადგენდა 14%-ს და გაიზარდა 18%-მდე რესტრუქტურიზაციის შემდეგ. რომ არ მომხდარიყო რესტუქტურიზაცია სამშენებლო სექტორის სესხებზე, მათი ამორტიზებული ღირებულება 2008 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 9,638 ლარს. 12%-დან 14%-მდე გაზრდა საპროცენტო განაკვეთის ენერგეტიკის სექტორის მსესხებლებისთვის მოხდა 2008 წლის 29 დეკემბერს. რომ არ მომხდარიყო რესტუქტურიზაცია ენერგეტიკის სექტორის სესხებზე, მათი ამორტიზებული ღირებულება არ განსხვავდებოდა მნიშვნელოვნად 2008 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა საბალანსო ღირებულებისგან.

*სესხების გაუფასურების შეფასება*

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ, მოხდა თუ არა ძირის ან პროცენტის ვადაგადაცილება 90 დღეზე მეტი პერიოდით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში ან 60 დღეზე მეტი პერიოდით – იურიდიულ პირებზე გაცემული სესხის შემთხვევაში. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის არსებულ სირთულეს კონტრაგენტის კრედიტუნარიანობაში, აგრეთვე, თავდაპირველი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას ბანკი ახორციელებს ორი – ინდივიდუალური და კოლექტიური ჩამოწერის შეფასების – მეთოდის საშუალებით.

*ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურება*

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ბანკი ინდივიდუალურად ადგენს შესაფერის გაუფასურებას. გადაწყვეტილება დამოკიდებულია კონტრაგენტის ბიზნეს-გეგმის მდგრადობაზე ფინანსური პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობებზე ფინანსური სირთულის დადგომის შემდეგ, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებზე გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ დახმარებაზე, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ვადიანობაზე. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი მიზეზები მოითხოვს უფრო დეტალურ ყურადღებას.

*კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება*

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხების მიმართ, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი (სამომხმარებლო დაკრედიტებისა და მცირე ბიზნესის დაკრედიტების ჩათვლით) ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც რომელიც წარმოდგენილია პორტფელში, თუმცა მისი ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ ჩანს. გაუფასურებით

*(ათას ლარში)*

*23. რისკების მართვა (გაგრძელება)*

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

*კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება (გაგრძელება)*

მიღებული ზარალი დგინდება შემდეგი სახის ინფორმაციაზე დაყრდნობით: პორთფელთან დაკავშირებული ისტორიული დანაკარგები, მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა, დროის მონაკვეთის ხანგრძლივობა სესხის ვადაგადაცილებულად აღიარებიდან მის გაუფასურებლად გამოცხადებამდე, აგრეთვე, გაუფასურების შემდგომ მოსალოდნელი მისაღები და ამოღებული თანხები. ადგილობრივი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განსაზღვროს დროის ის პერიოდი, რომლის შემდეგაც სესხი გაუფასურებულად გამოცხადდება. ზემოაღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობამ შეიძლება ერთი წელიც შეადგინოს. გაუფასურების რეზერვის შესაბამისობას ბანკის მთლიან პოლიტიკასთან ამოწმებს ადგილობრივი საკრედიტო სამსახური.

ფინანსური გარანტიებთან და აკრედიტივთან დაკავშირებით გამოიყენება იდენტური წესები შეფასებასთან და .რეზერვებთან მიმართებით.

ბანკის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

| | 2008 | | | | 2007 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *საქართველო* | *ეგთო* | *დსთ-სა და სხვა უცხოური ბანკები* | *სულ* | *საქართველო* | *ეგთო* | *დსთ-სა და სხვა უცხოური ბანკები* | *სულ* |
| **აქტივები:** | | | | | | | | |
| ფული და ფულადი ეკვივალენტები | 25,699 | 20884 | 147 | 46,730 | 71,276 | 6,248 | 1,606 | 79,130 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 6,725 | 482 | – | 7,207 | 18,981 | 467 | 985 | 20,433 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 325,770 | – | – | 325,770 | 339,677 | – | 4,394 | 344,071 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები -გასაყიდად არსებული | 1,389 | – | – | 1,389 | 1,335 | – | – | 1,335 |
| სხვა აქტივები | 39,438 | | | 39,438 | 38,591 | – | – | 38,591 |
| | **399,021** | **21,366** | **147** | **420,534** | **469,860** | **6,715** | **6,985** | **483,560** |
| **ვალდებულებები:** | | | | | | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 6,150 | 212 | 108,233 | 114,595 | 4,578 | 89 | 147,283 | 151,950 |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | 137,583 | 4,094 | 11,586 | 153,263 | 219,060 | 2,073 | 8,066 | 229,199 |
| სხვა ნასესხები სახსრები | – | 38,237 | 60,847 | 99,084 | 3 | 46,019 | – | 46,022 |
| სუბორდინირებული სესხი | – | – | 20,254 | 20,254 | – | – | 19,395 | 19,395 |
| სხვა ვალდებულებები | 5,292 | – | – | 5,292 | 1,795 | – | – | 1,795 |
| | **149,025** | **42,543** | **200,920** | **392,488** | **225,436** | **48,181** | **174,744** | **448,361** |
| **წმინდა საბალანსო პოზიცია** | **249,996** | **(21,177)** | **(200,773)** | **23,659** | **244,424** | **(41,466)** | **(167,759)** | **35,199** |
| **წმინდა არასაბალანსო პოზიცია** | **15,005** | **1,557** | **42** | **16,603** | **22,859** | **7,706** | **541** | **31,106** |

*(ათას ლარში)*

*23. რისკების მართვა (გაგრძელება)*

**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა**

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ბანკის შესაძლებლობას, დაფაროს ფინანსური ვალდებულებები, რომლებ წარმოიშობა ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში. რისკის შეზღუდვის მიზნით, ბანკის ხელმძღვანელობა, ძირითა სადეპოზიტო ბაზის გარდა, იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობ მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალლიკვიდური უზრუნველყოფის საგნე რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი ფინანსირებისათვის.

ბანკი ფლობს პორტფელს, რომელიც შეიცავს მაღალლიკვიდურ და დივერსიფიცირებულ აქტივებს, რომლებიც, შესაძლებელია, მარტივად რეალიზებულ იქნას ფულადი სახსრების გაუთვალისწინებული შეფერხების დროს. გარდა ამისა, ბანკისათვის გახსნილია საკრედიტო ხაზი ლიკვიდურობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბანკს დამატებით განთავსებული აქვს ფულადი დეპოზიტი (სავალდებულო რეზერვი) საქართველოს ეროვნულ ბანკში, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კლიენტებისაგან მოზიდულ სახსრებზე.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ. 31 დეკემბრისათვის კოეფიციენტები შემდეგი მნიშვნელობებით აღირიცხებოდა:

| | *2008, %* | *2007 %* |
|---|---|---|
| ლკ- საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ლიკვიდური აქტივების საშუალო თვიური მოცულობა/ვალდებულებების საშუალო თვიური მოცულობა) | 25% | 32% |

2007-ში და აგრეთვე ნაწილობრივ 2008-ში ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი იყო 30%. 28 სექტემბრიდან მინიმალური დასაშვები ზღვარი კოეფიციენტის შემცირდა 20%-მდე.

*ფინანსური ვალდებულებების ანალიზი განაღდების ვადიანობის მიხედვით*

წინამდებარე ცხრილებში წარმოდგენილია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც დაჯგუფებულია ბალანსის შედგენის დღიდან საკონტრაქტო ვადის გასვლამდე. დაფარვები, რომლებიც დამოკიდებულია კლიენტის მოთხოვნაზე, ჩათვლილია მიმდინარე დაფარვებში. თუმცა, ბანკი თვლის, რომ კლიენტთა უმრავლესობა არ მოითხოვს ვადაზე ადრე დაფარვას და, ამდენად, ცხრილი არ მოიცავს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადს, რომლებიც მითითებულია ბანკის დეპოზიტების შენარჩუნების ისტორიის მიხედვით.

| **ფინანსური ვალდებულებები** 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | *3 თვემდე* | *3 დან 12 თვემდე* | *1 დან 5 წლამდე* | *5 წელზე მეტი* | *ჯამი* |
|---|---|---|---|---|---|
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულების წინაშე | 30,501 | 19,406 | 64,688 | - | 114,595 |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | 106,869 | 27,346 | 18,911 | 136 | 153,263 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 4,009 | 5,015 | 84,843 | 5,217 | 99,084 |
| სუბორდინირებული სესხი | 250 | 0 | 20,004 | - | 20,254 |
| სხვა ვალდებულებები | 1,872 | 3,418 | 2 | - | 5,292 |
| **მთლიანი არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები** | **143,501** | **55,185** | **188,448** | **5,354** | **392,488** |

*(ათას ლარში)*

*23. რისკების მართვა (გაგრძელება)*

**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

| **ფინანსური ვალდებულებები** 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | *3 თვემდე* | *3 დან 12 თვემდე* | *1 დან 5 წლამდე* | *5 წელზე მეტი* | *ჯამი* |
|---|---|---|---|---|---|
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 46,956 | 18,528 | 86,466 | – | 151,950 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | | | | | |
| - გადასახდელი სახელშეკრულებო თანხები | 4,616 | – | – | – | 4,616 |
| - მისაღები სახელშეკრულებო თანხები | (4,663) | – | – | – | (4,663) |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | 171,171 | 38,165 | 19,706 | 157 | 229,199 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 21,987 | 2,763 | 15,854 | 5,418 | 46,022 |
| სუბორდინირებული სესხი | 296 | | | 19,099 | 19,395 |
| სხვა ვალდებულებები | 616 | 289 | 890 | – | 1,795 |
| **მთლიანი არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები** | **240,979** | **59,745** | **122,916** | **24,674** | **448,314** |

წინამდებარე ცხრილი წარმოადგენს პირობით ვალდებულებებს ბალანსის შედგენის დღიდან საკონტრაქტო ვადის გასვლამდე:

| | *3 თვემდე* | *3 დან 12 თვემდე* | *1 დან 5 წლამდე* | *5 წელზე მეტი* | *ჯამი* |
|---|---|---|---|---|---|
| 2008 | 5,823 | 4,471 | 6,249 | 37 | 16,603 |
| 2007 | 16,386 | 7,431 | 7,290 | - | 31,107 |

ბანკი თვლის, რომ პირობითი ვალდებულების დიდი ნაწილი არ განაღდდება საკონტრაქტო ვადის გასვლამდე.

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დაფინანსების ასეთ დონეს ბანკი შეინარჩუნებს ახლო მომავალის განმავლობაში, ხოლო თანხების განაღდების შემთხვევაში კი ბანკი მიიღებს წინასწარ შეტყობინებას ისე, რომ ბანკმა მოახერხოს ლიკვიდური აქტივების რეალიზაცია და უზრუნველყოს გადახდა.

განაღდების ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიული სტაბილურობის მაჩვენებლებს. მათი ლიკვიდაცია უფრო გრძელვადიანი იყო, ვიდრე ეს ცხრილებშია მითითებული. ეს ნაშთები შედის თანხებში, რომელთან დაფარვის 3 თვეზე ნაკლებია.

ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე მოიცავს ფიზიკური პირების ვადიან დეპოზიტებს.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთებისა, სავალუტო კურსის რყევით ასევე კაპიტალური ინვესტიციების ფასების ცვლილებით უცხოური ვალუტის კონცენტრაციის გარდა, ბანკის წინაშე არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

**საბაზრო რისკი – სავაჭრო**

დირექტორთა საბჭომ დააწესა მისაღები რისკის ლიმიტები. ბანკის საქმიანობა საბაზრო რისკის ფარგლებში შემოიფარგლება ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატების ოპერაციებით, აგრეთვე, ბანკთაშორისი

*(ათას ლარში)*

*23. რისკების მართვა (გაგრძელება)*

**საბაზრო რისკი – სავაჭრო (გაგრძელება)**

სესხებითა და დეპოზიტებით და საბირჟო ოპერაციებით. საბაზრო ფინანსური ინსტრუმენტები, მაგალითად, წარმოებულები და საპროცენტო განაკვეთები არ გამოიყენება.

**საბაზრო რისკი – არასავაჭრო**

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული რისკი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთები გავლენას ახდენს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე. მოცემული ცხრილი ასახავს ბანკის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების მგძნობელობას საპროცენტო განაკვეთის მოსალოდნელ ცვლილებაზე, როდესაც სხვა ცვლადები უცვლელია.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა მიუთითებს იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე, იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ შემოსავლის მრუდი პარალელურად გადაადგილდება.

| *ვალუტა* | *საბაზისო ერთეულის ზრდა 2008 წლის განმავლობაში* | *მგრძნობელობა მოგებაზე დაბეგვრამდე 2008 წლის განმავლობაში* |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | 0.58% | (293) |
| აშშ დოლარი | (0.58%) | 293 |

| *ვალუტა* | *საბაზისო ერთეულის ზრდა 2007 წლის განმავლობაში* | *მგრძნობელობა მოგებაზე დაბეგვრამდე 2007 წლის განმავლობაში* |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | 0.47% | (269) |
| აშშ დოლარი | (0.47%) | 269 |

*სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი წარმოიშობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებისას, რაც გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ ინსტრუმენტებზე. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის ლიმიტებს ვალუტების მიხედვით. აღნიშნული ლიმიტები შესაბამისობაშია საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ნორმატიულ დოკუმენტებთან. პოზიციის ზედამხედველობა წარმოებს ყოველდღიურად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში მითითებულია ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ბანკის არასაბაზრო ფინანსური აქტივები, ვალდებულებები და პროგნოზირებადი ფულადი სახსრების ნაკადები 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის დროს, ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც კონსოლიდირებული ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრნობიარე ფინანსური აქტივებსა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალის ეფექტი არ განსხვავდება ეფექტისგან კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

*(ათას ლარში)*

*23. რისკების მართვა (გაგრძელება)*

**საბაზრო რისკი – არასავაჭრო (გაგრძელება)**

*სავალუტო რისკი (გაგრძელება)*

| *ვალუტა* | *% ზრდა უცხოურ ვალუტაში 2008 წლის განმავლობაში* | *ეფექტი მოგებაზე დაბეგვრამდე 2008* | *% ზრდა უცხოურ ვალუტაში 2007 წლის განმავლობაში* | *ეფექტი მოგებაზე დაბეგვრამდე 2007* |
|---|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 11.20% | (1,567) | 2.80% | (40) |
| ევრო | 19.30% | (207) | 6.90% | (973) |

| *ვალუტა* | *% შემცირება უცხოურ ვალუტაში 2008 წლის განმავლობაში* | *ეფექტი მოგებაზე დაბეგვრამდე 2008* | *% შემცირება უცხოურ ვალუტაში 2007* | *ეფექტი მოგებაზე დაბეგვრამდე 2007* |
|---|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | (11.20%) | 1,567 | (2.80%) | 40 |
| ევრო | (19.30%) | 207 | (6.90%) | 973 |

*წინასწარი გადახდების რისკი*

წინასწარი გადახდების რისკი წარმოადგენს ბანკის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ბანკის კლიენტები ან კონტრაგენტები იხდიან, ან თხოულობენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე ან გვიან, მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის იპოთეკა საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში.

ეფექტი ერთი წლის დაუბეგრავ მოგებასა და კაპიტალზე იმ შემთხვევაში, თუ წლის დასაწყისში წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი გადასახდელი ფინანსური ინსტრუმენტების 10%, ხოლო ყველა სხვა ცვლადი უცვლელია, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

| | *ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე* | *ეფექტი კაპიტალზე* |
|---|---|---|
| 2008 | 6,471 | – |
| 2007 | 6,448 | – |

**ოპერაციული რისკი**

ოპერაციული რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშობა როგორც სისტემური და ადამიანური შეცდომების შედეგად, ასევე, თაღლითობისა და გარე ფაქტორების ზემოქმედებით. არასათანადო კონტროლის დროს, ოპერაციულმა რისკმა შესაძლებელია ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, გაართულოს სამართლებრივი და მარეგულირებელი ასპექტები, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. ბანკი ვერ აიცილებს ყველანაირი სახის ოპერაციულ რისკს, მაგრამ კონტროლის მექანიზმისა და პოტენციურ რისკებზე რეაგირების მეშვეობით, ბანკს აქვს შესაძლებლობა, მართოს რისკები. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, შეღწევადობის, ავტორიზაციისა და გადასინჯვის პროცედურებს, თანამშრომლების სპეციალიზირებასა და შიდა აუდიტს.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა Lloyd's-ის სადაზღვევო კომპანიაში შეიძინა Banker's Blanket Bond" და "Computer Crime" სადაზღვევო პოლისი 1,250 ლარის ოდენობით (2007- 796).

*(ათას ლარში)*

## 24. ფინანსური ინსტუმენტების სამართლიანი ღირებულება

| | საბალანსო ღირებულება 2008 | სამართლიანი ღირებულება 2008 | აუღიარებელი მოგება(ზარალი) 2008 | საბალანსო ღირებულება 2007 | სამართლიანი ღირებულება 2007 | აუღიარებელი მოგება(ზარალი) 2007 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | | | |
| ფული და ფულადი ეკვივალენტები | 46,730 | 46,730 | – | 79,130 | 79,130 | – |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 7,207 | 7,207 | – | 20,433 | 20,433 | – |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 325,770 | 314,691 | (11,079) | 344,071 | 344,071 | – |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,389 | 1,389 | – | 1,335 | 1,335 | – |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 114,595 | 114,595 | – | 151,950 | 151,950 | – |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | 153,263 | 148,524 | 4,378 | 229,199 | 229,199 | – |
| სხვა ნასესხები სახსრები | 99,084 | 95,228 | 3,856 | 46,022 | 46,022 | – |
| სუბორდინირებული სესხი | 20,254 | 20,254 | | 19,395 | 19,395 | – |
| **სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება** | | | **(2,845)** | | | – |

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

*აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

*ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები*

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე დეპოზიტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის
მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის. კოტირებული სესხებისათვის სამართლიანი ღირებულება გამოითვლება კოტირებული საბაზრო ფასების მიხედვით. იმ სერთიფიკატებისათვის, რომელთა შემთხვევაშიც კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ცნობილი, სამართლიანი ღირებულება გამოიყენება ფულადი სახსრების ნაკადის დისკონტირების მოდელი, რომელიც ემყარება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთსა და დარჩენილ ვადიანობას.

*(ათას ლარში)*

### *24. ფინანსური ინსტუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)*

*სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები*

განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტები (გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები) აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდების გამოყენებით, რამდენადაც არ არის ხელმისაწვდომი საჭირო საბაზრო ინფორმაცია. მათი სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მოდელის საშუალებით, რომელიც დატესტირებულია მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციების ფასების მიმართ და ბანკისათვის ყველაზე შესაბამისი სარწმუნო მოდელის გამოყენებით. ს მოდელები დაკორექტირებულია ისე რომ ასახოს სპრედი მიწოდების და მოთხოვნის ფასებისათვის, რათა ასახულ იქნას პოზიციის დახურვის ხარჯები, კონტრაგენტის მიმდინარე სპრედი და ამ მოდელების შეზღუდვები. გარდა ამისა, მოგების გამოთვლა ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების პირველადი აღრიცხვისას (“1 დღის” მოგება) გადავადდება და მისი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შესაძლო ხდება პირობებზე დაკვირვება ან მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტის ჩამოწერა.

### 25. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმის მიხედვით, თუ როდის მოხდება მათი აღდგენა ან დაფარვა. იხილეთ შენიშვნა 23 “რისკების მართვა” ბანკის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ვალდებულებების შესახებ.

| | ***2008*** | | | ***2007*** | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *ერთ წელზე ნაკლები* | *ერთ წელზე მეტი* | *სულ* | *ერთ წელზე ნაკლები* | *ერთ წელზე მეტი* | *სულ* |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | | | |
| ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები | 46,730 | - | **46,730** | 79,130 | - | **79,130** |
| მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ | 4,877 | 2,330 | **7,207** | 16,361 | 4,072 | **20,433** |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 69,735 | 256,035 | **325,770** | 83,557 | 260,512 | 344,071 |
| გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები | - | 1,389 | **1,389** | - | 1,335 | **1,335** |
| **სულ** | **121,342** | **259,754** | **381,096** | **179,048** | **265,921** | **444,969** |
| ***ფინანსური ვალდებულებები*** | | | | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 49,908 | 64,687 | **114,595** | 65,484 | 86,466 | **151,950** |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | 134,215 | 19,048 | **153,263** | 209,336 | 19,863 | **229,199** |
| სხვა ნასესხები სახსრები | 9,024 | 90,060 | **99,084** | 24,750 | 21,272 | **46,022** |
| სუბორდინებული სესხი | 250 | 20,004 | **20,254** | 296 | 19,099 | **19,395** |
| **სულ** | **193,398** | **193,798** | **387,196** | **299,866** | **146,700** | **446,566** |
| **წმინდა** | ***(72,056)*** | ***65,956*** | ***(6,100)*** | ***(120,818)*** | ***119,221*** | ***(1,597)*** |

ბანკის ვალდებულებების გადახდის პოტენციალი დამოკიდებულია ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციის შესაძლებლობაზე იმავე პერიოდის განმავლობაში. ერთ წელზე მცირე პერიოდის განმავლობაში, ფიქსირდება მნიშვნელოვანი ნეგატიური ლიკვიდურობის დეფიციტი VTB Bank OJSC–იდან დეპოზიტების მაღალი კონცენტრაციის შედეგად.

ბანკმა დიდი ოდენობის თანხები მიიღო VTB Bank OJSC–იდან. აღნიშნული თანხების მნიშვნელოვან გატანას ექნება უარყოფითი შედეგი ბანკის ოპერაციებზე. ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დაფინანსების ასეთ დონეს ბანკი შეინარჩუნებს ახლო მომავლის განმავლობაში, ხოლო თანხების განაღდების შემთხვევაში კი

*(ათას ლარში)*

### *25. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)*

ბანკს მიეცემა წინასწარი შეტყობინება ისე, რომ ბანკმა მოახერხოს ლიკვიდური აქტივების რეალიზაცია და უზრუნველყოს გადახდა.

ბანკს აქვს მიღებული მნიშვნელოვანი რესურსები EBRD–სგან. ზემოთ მოცემულ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის ცხრილი შეიცავს სესხს EBRD–სგან გადანაწილებულს ანგარიშგების დღიდან საკონტრაქტო ვადის დასრულებამდე ვალდებულების ვადიანობის მიხედვით : 3 თვემდე – 2,406 ლარი; 3 თვიდან 1 წლამდე – 1,852 ლარი; 1 წლიდან 5 წლამდე – 13,039 ლარი. ბანკს აქვს სავალდებულო შემზღუდავი კოეფიციენტების დაცვის ვალდებულებები EBRD-დან ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს დარღვეული აქვს კოეფიციენტები, რომელიც დაკავშირებულია EBRD-ის სესხთან. EBRD ინფორმირებულია აღნიშნულის შესახებ და თანახმაა არ გამოითხოვოს სესხი ვადის ამოწურვამდე. ხელშეკრულების პირობების თანახმად EBRD-ს უფლება აქვს გამოითხოვოს სესხი სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, ხელშეკრულების ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ამ რესურსების ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა გადინებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ოპერაციებზე და საზედამხედველო ორგანოების მიერ დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტების შესრულებაზე. მენეჯმენტი თვლის რომ არსებული რესურსების დონე შენარჩუნდება ბანკში პროგნოზირებად მომავალში და რესურსის გადინების შემთხვევაში ბანკი წინასწარ მიიღებს შეტყობინებას, რათა ლიკვიდური აქტივების მეშვეობით განახორციელოს შესაბამისი გადახდა.

გრძელვადიანი სესხები ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში. მიუხედავად ამ ფაქტისა, ქართული ბაზარი უზრუნველყოფს მსურველებს მოკლევადიანი სესხებით, რომლებიც ადვილად განახლებადია. ამდენად, აქტივების ვადიანობა, რომელიც ზემოთ არის მოცემული, შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური ვადიანობისგან. გარდა ამისა, ვადიანობის ანალიზი არ მოიცავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად უფრო მეტი დროის მანძილზე ხორციელდებოდა, ვიდრე ეს ცხრილშია მოცემული. ცხრილში აღნიშნული ნაშთები ჩართულია მოთხოვნისთანავე გასაცემი თანხების ჩამონათვალში.

მეანაბრეთა წინაშე ვალდებულებებში შედის ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები.

### 26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს 24-ის ("დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები") მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მოახდინოს სერიოზული ზეგავლენა ფინანსური თუ ოპერაციული გადაწყვეტილების მიღების დროს. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვის დროს, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არამხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ბასს 24-ის თანახმად, დაკავშირებულ მხარეებად ითვლება:

(ა) საწარმოები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან რამდენიმე შუამავლის საშუალებით, აკონტროლებს ან კონტროლირებადია ანგარიშმგებელი საწარმოს მიერ (ჰოლდინგური კომპანიის შვილობილი კომპანიები ან მათი ფილიალები);

(ბ) ასოცირებული საწარმოები, რომელზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომელიც არ წარმოადგენს არც ინვესტორის შვილობილ კომპანიას, არც ერთობლივ საწარმოს.

(გ) ფიზიკური პირები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ წილს ბანკში და აქვთ ბანკზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობა; პირები, რომელთაც შეუძლიათ ასეთ ფიზიკურ პირებზე ზეგავლენის მოხდენა ან თავად არიან მათი ზეგავლენის ქვეშ ბანკთან ურთიერთობისას;

(დ) მთავარი მმართველი რგოლის წარმომადგენლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, მართონ და აკონტროლონ ბანკის საქმიანობა, დირექტორების, მენეჯერებისა და მათი ოჯახის წევრების ჩათვლით;

(ე) საწარმოებს, რომელთა საკუთრების მნიშვნელოვან წილს პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ პირები, რომლებიც ჩამოთვლილია (გ) და (დ) ქვეპუნქტებში, ან საწარმოებს, რომლებზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ აღნიშნული პირები. აღნიშნულში შედის საწარმოები, რომლებიც წარმოადგენს ბანკის დირექტორების ან ძირითადი აქციონერების საკუთრებას, აგრეთვე, საწარმოები, რომელთა მთავარი მმართველი რგოლის წარმომადგენელი ბანკში წამყვან თანამდებობას იკავებს.

*(ათას ლარში)*

### *26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)*

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვის დროს, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი შედიოდა ვე-ტე-ბე ჯგუფში; ამდენად, ვე-ტე-ბე ჯგუფში შემავალი სამართლებრივი ერთეულები წარმოადგენდნენ ბანკის დაკავშირებულ მხარეებს. 2005 წლის 1 იანვრიდან, განახლებულმა ბასს 24-მა გააუქმა პრეფერენციული პირობები სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოებისათვის. რამდენადაც ბანკის მშობელი კომპანია სახელმწიფო საკუთრებაშია, ბანკმა დანერგა სტრატეგია, რომლის თანახმადაც, იგი წარადგენს განმარტებით შენიშვნებს რუსეთის ფედერაციის კუთვნილი საწარმოებიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ გაცემული და მიღებული გარანტიების, გარიგებებისა და არსებული ბალანსების შესახებ. 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები განხორციელდა საბაზრო პიროებების მიხედვით, თუ სხვანაირად არ არის მოცემული განმარტებით შენიშვნებში.

2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული ტრანზაქციების ბალანსი შემდეგნაირია:

| | *2008* | | | | *2007* | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *აქციონერი* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* | *სულ საბალანსო ანგარიშგების მიხედვით* | *აქციონერი* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* | *სულ საბალანსო ანგარიშგების მიხედვით* |
| ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები | 65 | 8,810 | – | **46,730** | 489 | 966 | – | **79,130** |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | – | – | – | **7,207** | – | – | 283 | **20,433** |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი | | 23,913 | 40 | **365,237** | – | 985 | 181 | **387,095** |
| მინუს: გაუფასურების რეზერვი | | – | – | **(39,467)** | – | (20) | (4) | **(42,993)** |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა | – | – | 40 | **325,770** | – | 965 | 177 | **344,071** |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 108,229 | 5 | – | **114,595** | 147,269 | 14 | – | **151,950** |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | – | 1,690 | 630 | **153,263** | – | 110 | 370 | **229,199** |
| სხვა ნასესხები სახსრები | 78,144 | – | – | **99,084** | 16,476 | – | – | **46,022** |
| სუბორდინირებული სესხი | 20,254 | – | – | **20,254** | 19,395 | – | – | **19,395** |

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები მოიცავს მიმდინარე ანგარიშს ვე-ტე-ბე ბანკში. მშობელმა ბანკმა განათავსა 91,509 ლარი (2007- 112,923 ლარი) ბანკში გრძელვადიანი პროექტის დაფინანსების მიზნით, რაც განისაზღვრა 2005 წლის 16 სექტემბერს მშობელ ბანკსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით. მიმდინარე ანგარიშზე გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12.25%-ს წლიურად. იხილეთ შენიშვნა 14. მიმდინარე ანგარიშები ასევე შეიცავენ სესხებს VTB Bank OJSC–სგან ჯამური თანხით 16,110 ლარი (2007 – 33,730 ლარი) 3-თვიანი სახელშეკრულებო ვადით და ასევე მიმდინარე ანგარიშს 610 ლარის ოდენობით (2007 – 616 ლარი).

მშობელი ბანკიდან მიღებული სახსრები (სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული სესხი) შეიცავს 76,958 ლარის ოდენობით (2007- 33,730 ლარი), რომელთა საპროცენტო განაკვეთი წლიურად 9.50%-დან 15.00%-მდე მერყეობს. 2005 წლის 25 ოქტომებრს, ბანკმა მშობელ ბანთან დადო ხელშეკრულება სუბორდინირებული სესხის გამოყოფის შესახებ. 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის თანხა შეადგენდა 19,395 ათას ლარს სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა Libor + 3.5% და ექვემდებარეობდა კვარტალურ გადახდას, ხოლო მისი ხანგრძლივობა 2011 წლის 25 ოქტომბრამდე განისაზღვრა. ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში,

*(ათას ლარში)*

### *26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)*

აღნიშნული სესხის დაფარვა მოხდება მხოლოდ ბანკის ძირითადი კრედიტორების ვალდებულებების დაფარვის შემდგომ. იხილეთ შენიშვნები 14, 16 და 17.

დაკავშირებულ მხარეებთან წარმოებული ტრანზაქციების მოგება და ზარალი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| | *2008* | | | | *2007* | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *აქციონერები* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* | *სულ მოგება-ზარალის ანგარიშგების მიხედვით* | *აქციონერები* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* | *სულ მოგება-ზარალის ანგარიშგების მიხედვით* |
| საპროცენტო შემოსავალი | 1 | 1,117 | 2 | **61,332** | 1 | 341 | 44 | **65,807** |
| საპროცენტო ხარჯი | 17,128 | 303 | 11 | **(33,788)** | (20,373) | (179) | (42) | **(40,633)** |
| სესხის გაუფასურების რეზერვი | – | | | **(72,748)** | | (3) | 2 | **(15,517)** |
| გასამრჯელოდან და საკომისიოდან მიღებული შემოსავალი | | | | **4,631** | | | | **5,775** |
| გასამრჯელოზე და საკომისიოზე გაწეული ხარჯები | | | | **(1,149)** | (72) | (25) | | **(1,474)** |
| სხვა შემოსავალი | | | | **1,652** | | 38 | | **1,103** |
| მოგება გაყიდვიდან რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის მოგება- ზარალში ასახვით | 28,683 | | | **38,342** | | | | **-** |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | | | | **(10,708)** | | (1) | (1,330) | **(8,221)** |

ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლების კომპენსაცია შეადგენს:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი | 2,214 | 1,348 |
| სოციალური გადასახადი | - | 270 |
| **სულ ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლების კომპენსაცია** | **2,214** | **1,618** |

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მთავარ წარმომადგენლებში შედგებოდა 15 (2007- 16) წევრისაგან და მასში შედიოდნენ სს ვი-თი-ბი ბანკის (საქართველო) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, და სს ვი-თი-ბი ბანკის (საქართველო) დირექტორატის წევრები.

### 27. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა სახის მეთოდიკით, მათ შორის საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანი არის ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, ბანკის მიერ ძლიერი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერთათვის დამატებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად.

*(ათას ლარში)*

## 27. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან დაკორექტორების მიზნით, ბანკმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებიდან ბანკის მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

*კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*

რეგულატიური კაპიტალი შედგება პირველადი კაპიტალისაგან, რომელიც, თავის მხრივ, შედგება აქციებისაგან, სარეზერვო ფონდისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან, მიმდინარე წლის მოგების გარდა, მინუს ძირითადი აქტივების გადაფასების რეზერვი, რომელიც გადატანილია საწესდებო კაპიტალში, და არამატერიალური აქტივების გარდა. გარკვეული შესწორებები შეტანილია ფასს-ის მიხედვით მიღებულ შედეგებსა და რეზერვებში საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მოთხოვნების თანახმად. რეგულატიური კაპიტალის მეორე კომპონენტი მეორადი კაპიტალია, სადაც შედის მიმდინარე წლის მოგება, ძირითადი რეზერვები (არაუმეტეს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა) და სუბორდინირებული გრძელვადიანი სესხი.

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მოთხოვნით, ბანკი ვალდებულია შეინარჩუნოს მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 12%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება საქართველოს საბუღალტრო და საბანკო კანონმდებლობის საფუძველზე. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები გამოთვლილი ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| | *2008* | *2007* |
|---|---|---|
| პირველადი კაპიტალი | 50,524 | 35,867 |
| მეორადი კაპიტალი | (15,095) | 15,519 |
| გამოკლებული: კაპიტალის შემცირება | | (1,297) |
| **სულ რეგულირებელი კაპიტალი კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისათვის** | 35,429 | **50,089** |
| **რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები** | **384,197** | **500,511** |
| კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი | 9.22% | 10.01% |

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საბუღალტრო და საბანკო კანონმდებლობის საფუძველზე გამოთვლილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი საქართველოს საფინანსო სააგენტოს მოთხოვნასთან შესაბამისობაში არ იყო, და ბანკმა მიიღო საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსგან წერილი რომლის მიხედვითაც მას ეძლევა უფლება დაარღვიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2009 წლის 31 მაისამდე. 2009 წლის მაისში ბანკი გეგმავს თავისი საწესდებო კაპიტალის გაზრდას, როგორც აღწერილია 28-ე შენიშვნაში, რაც მისცემს მას შესაძლებლობას იყოს შესაბამისობაში კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებთან.

## 28. მოვლენები ბალანსის თარიღის შემდეგ

2009 წლის 6 მარტს OJSC VTB Bank-მა მიაღწია შეთანხმებას ვითიბი ბანკ (ჯორჯიას) აქცოენერებთან – ზაზა სიორიძესთან და ანტონ ინგოროყვასთან მათი აქციების შესყიდვაზე (7.13%), რის შედეგადაც OJSC VTB Bank -ის წილი ვითიბი ბანკ (ჯორჯიაში) გაიზარდა 77.57%-იდან 84.7%-მდე.

2009 წლის 14 აპრილს ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა აქციების დამატებითი ემისია სააქციო კაპიტალის 9 მილიონ აშშ. დოლარით გაზრდის მიზნით. ბანკის მთავარი აქციონერი OJSC VTB Bank გამოიყენებს უპირატესი შესყიდვის უფლებებას და 2009 წლის მაისის ბოლომდე ჩარიცხავს 7.6 მილიონ აშშ.დოლარს კაპიტალში თავისი წილის პროპორციულად. სააქციო კაპიტალის გაზრდის შემდეგ, ბანკი შეასრულებს სებ-ის მოთხოვნებს კაპიტალის ადეკვატურობასთან მიმართებით (აპლიკაციის ფორმა კაპიტალის გაზრდის შესახებ ბანკის მხრიდან ჩაბარების პროცესშია).